# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 14 მარტი 2007 №56 (2979) ფასი 50 თეთრი




# ბურთი ასათიანს!

## ექიმებმა მწვანე აანთეს: მარტში ბურთაობა, აპრილში თამაში

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთმა ლიდერმა, უკვე ექვსი თვის ნაუქმარმა მალხაზ ასათიანმა ბურთით ვარჯიში დაიწყო — დიახ, შარშანდელი ოქტომბრის მერე, რუსულ პრემიერლიგაში არმიელ ივიცა ოლიჩთან უმძიმესი შეჯახებიდან ნახევარ წელიწადში ასათიანმა პირველად გააგორა ბურთი და სულ ცოტა ხანში სრული დატვირთვით ვარჯიშსაც განაახლებს. მალხაზი ახლა გერმანიაშია, სადაც ერთხელაც გაესინჯა მკურნალ ექიმს და მისგან მწვანეც აენთო — ასათიანი ჯანმრთელია!

# უეფა და ერთი შოთა

## პასუხებს დღეს-ხვალ ვნახავთ




შოთა არველაძის „ალკმაარს" „ნიუკასლთან" ორბურთიანი სხვაობის ამოქაჩვა მოუწევს



AFP

# უპრეცედენტო პრეცედენტი!

## ვალენსიური სირცხვილი თვეებით დაითვლება

იტალიური პრესის ცნობით, „ვალენსია" — „ინტერის" მატჩის დასრულებისთანავე „მესტალიაზე" მომხდარი ამაზრზენი ჩხუბის ყველაზე აქტიურ მონაწილეებს ხანგრძლივი დისკვალიფიკაციები ელით.

უეფას სადისციპლინო კომიტეტი ამ საკითხს დღეს განიხილავს და ოფიციალური განაჩენიც ალბათ დღესვე გახდება ცნობილი. თუმცა აპენინური პრესა უეფადან გამოჟონილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ ჩხუბის გამამწვავებელი „ვალენსიას" მცველი დავიდ ნავარო უპრეცედენტო, ათთვიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება, ხოლო მისი თანაგუნდელი კარლოს მარჩენა — ოთხთვიანით.

ფეხბურთიდან ოთხთვიანი მოკვეთა ემუქრებათ ინტერელებსაც — ნიკოლას ბურდისოსა და დუგლას მაიკონს. ხოლო ივან კორდობამ შეიძლება ორი თვით „დაისვენოს".

იმასაც ამბობენ, რომ უეფას გადაწყვეტილების შემდეგ, შესაძლოა, ფეხბურთელებს სასჯელი კიდევ უფრო დაუმძიმდეთ — ეს უკვე ფიფაზე და იტალია-ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციების სადისციპლინო კომიტეტებზე იქნება დამოკიდებული.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# ტოტი ბრუნდება

## საქართველო კი ჯერ არ აინტერესებს



„რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ იტალიის ნაკრების მწვრთნელი რობერტო დონადონი ძალიან გაახარა — ნაკრებში დაბრუნება გადაწყვიტა.

ითამაშებს თუ არა ტოტი 13 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებთან, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ როგორც თვითონ განაცხადა, „ადზურას“ აუცილებლად დაეხმარება საფრანგეთისა და უკრაინის ნაკრებებთან 8 და 12 სექტემბერს.

„ტოტი შესანიშნავ ფორმაშია, სერია A-ში გოლი გოლზე გააქვს. მისი გადაწყვეტილება ნაკრებში დაბრუნების შესახებ ძალიან მახარებს. საფრანგეთთან და უკრაინასთან მნიშვნელოვანი თამაშებისთვის მისი ოსტატობა და გამოცდილება ძალიან გამოგვადგება“ — განაცხადა დონადონიმ.

დონადონის სიტყვებიდან ისე ჩანს, რომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები საქართველოს ნაკრებთან ტოტის გარეშეც იოლ მოგებას გეგმავენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მაკლიში დღეს იტყვის



**ამ დროისთვის** მთავარი სანაკრებო ამბავი, 24 მარტს ჩვენი ეროვნული გუნდის შოტლანდიასთან მატჩია და შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-მდივან ენდი მიტჩელსაც სწორედ საამატჩო სამზადისის თაობაზე შევეხმიანეთ.

— ალექს მაკლიში საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ გამოძახებული ფეხბურთელების სიას ოთხშაბათს გამოაცხადებს — ჩვენს პირველ კითხვაზე ასეთი პასუხი გაგვცა მიტჩელმა, და მერე სხვაც გვითხრა:

— ნაკრები 22 მარტს შეიკრიბება და პირველ ვარჯიშსაც ამ დღეს ჩაატარებს. მაკლიში საქართველოსთან მატჩს მთელი სერიოზულობით ეკიდება. მან უკვე განაცხადა, რომ ჩვენს ნაკრებს ქართველებთან იოლი მატჩი არ ელის. როდესაც შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი მატჩის სირთულეზე ლაპარაკობს, რამდენიმე ფაქტორს გულისხმობს. ერთი მხრივ, თქვენს გუნდს ძალიან ცნობილი და გამოცდილი მწვრთნელი ჰყავს და გარდა ამისა, საქართველოს ნაკრებში ბევრი კარგ გუნდში მოთამაშე, გამოცდილი ფეხბურთელია.

— ამ მატჩისადმი გულშემატკივრების მხრიდანაც დიდი დაინტერესებაა, რაც ჩვეულებრივი ამბავია — შოტლანდიის ნაკრების მატჩებზე „ჰემპდენ პარკის“ ტრიბუნები ყოველთვის ივსება. ასე რომ, საქართველოს ნაკრებთან მატჩს დიდი ინტერესით ველოდებით.

**ქობა ინასარიძე**

# უკრაინამ 22 გაამზადა



**24 და 28 მარტს** უკრაინის ნაკრები ევროშესარჩევში ფარერებსა და ლიტვას შეხვდება და ალბათ 6 ქულას გეგმავს. უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა სია, რომელიც ამ მატჩებისთვის გამოიძახა:

***მეკარეები:*** *ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო, კიევი), ბოგდან შუსტი (შახტარი), ანდრეი პიატოვი (ვორსკლა);*

***მცველები:*** *ანდრეი ნესმაჩნი (დინამო, კიევი), დმიტრი ჩიგირინსკი, ალექსანდრ კუჩერი (ორივე შახტარი), ანდრეი რუსოლი, ვლადიმერ ეზერსკი, ალექსანდრ რომანჩუკი (ყველა დნიპრო), ვიაჩესლავ სვიდერსკი (ჩერნომორეცი);*

***ნახევარმცველები:*** *ოლეგ გუსევი, რუსლან როტანი, ტარას მიხალიკი, სერგეი რებროვი (ყველა დინამო, კიევი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, მოსკოვი), ევგენი ლევჩენკო (გრონინგენი), ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი), ოლეგ შელაევი, სერგეი ნაზარენკო (ორივე დნიპრო);*

***თავდამსხმელები:*** *ალექსეი ბელიკი, ანდრეი ვორობეი (ორივე შახტარი), ანდრეი შევჩენკო (ჩელსი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი)*

# ასათიანმა ბურთი მიიღო

## პასები აპრილში იქნება

ახალი ამბავი გერმანიიდან: მალხაზ ასათიანმა მსუბუქად ვარჯიში დაიწყო და აპრილიდან ალბათ თამაშსაც შეძლებს.

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი ახლა რუიტშია და ექვსთვიანი პაუზის შემდეგ პირველად სწორედ იქ გააგორა ბურთი. რუიტში შეკრებაზე „ლოკომოტივიც“ ჩავა და ასათიანიც მოსკოვში გუნდთან ერთად დაბრუნდება.

— უკვე რამდენიმე დღეა, ბურთით ვარჯიში განვაახლე. რუიტელმა ექიმებმა ერთხელაც და საბოლოოდ გამსინჯეს, ყველაფერი კარგადაა, სარეაბილიტაციო კურსი გაურთულებლად მიდის. დატვირთვებს ჯერ ვერიდები, ფორსირებული მზადების აუცილებლობა არ არის. მოსკოვში გუნდთან ერთად დავბრუნდები და თვის ბოლოს სრული დატვირთვით ვარჯიშიც შემეძლება. გული მწყდება, რომ შოტლანდიასთან და ფარერებთან საქართველოს ნაკრებს ვერ დავეხმარები — გვითხრა მალხაზ ასათიანმა, ვისაც გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით.

ასათიანი შარშანდელ ოქტომბერს მოსკოვის ცესკასთან მატჩში დაშავდა, მას მუხლის ჯვარედინი იოგები ჰქონდა დაზიანებული, მყესები დაწყვეტილი. მალხაზმა მკურნალობა მოსკოვში დაიწყო, მერე რუიტში გადაინაცვლა, სადაც ორი სარეაბილიტაციო კურსი აქამდეც გაიარა, ახლა კი მესამე, აღდგენითი პროცესის ბოლო პერიოდი დაიწყო. რუიტში ასათიანი ჰოლანდიიდან ჩავიდა, იქ ის „ლოკომოტივს“ ახლდა. შემდეგ რუსეთის ჩემპიონატი დაიწყო და „ლოკომოტივი“ შინ დაბრუნდა, ჩვენიანი კი მოსკოვურ ყინვებს აერიდა და რუიტს მიაშურა. მალე რუსეთის ჩემპიონატში მცირეხნიანი შესვენება იქნება, ასათიანის გუნდიც იდროვებს და კიდევ ერთ შეკრებას სწორედ იქ გაივლის, სადაც მისიანი მკურნალობას ამთავრებს.

მოკლედ, ცოტაც და, ექვსთვიანი იძულებითი უქმობის შემდეგ მალხაზ ასათიანი მოედანს დაუბრუნდება.

**ქობა ინასარიძე**








## ინგლისი

ჩემპიონატი. XXXVIII ტური

ქოვენტრი 2:1 ვულვზი
დერბი 1:1 ქვინზ პარკი
ლესტერი 1:1 ლიდსი
ლუტონი 1:2 ჰალი
ნორვიჩი 1:0 ბირმინგემი
პრესტონი 1:0 იფსვიჩი
უენსდი 2:0 კოლჩესტერი
საუთჰემპტონი 2:2 კარდიფი
საუთენდი 1:0 ბარნსლი
სანდერლენდი 2:2 სტოკი

I ლიგა
გადადებული მატჩები

ბრისტოლი 2:3 ბრედფორდი
მილუოლი 2:2 ძრიუ

II ლიგა
გადადებული მატჩი

დონსი 3:0 მაკლსფილდი

კონფერენსლიგა
XXXVII ტური

ალდერშოტი 2:2 უოქინგი
კემბრიჯი 0:5 იორკი
გრეისი 1:0 ტემფორთი
ჰალიფაქსი 0:0 რაშდენი
მორეკემბი 0:1 ალტრინჩემი
ოქსფორდი 0:1 კიდერმინსტერი
სენტ ალბანსი 1:2 დაგენემი
სტაფორდი 3:1 გრეივსენდი
სტივენეიჯი 3:1 სოთპორტი
ვეიმუთი 3:2 ქროული

## შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

მაზერუელი 0:2 აბერდინი

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

პარტიკი 2:0 სენტ ჯონსტონი
როსი 4:1 ჰამილტონი

III დივიზიონი
გადადებული მატჩი

დამბარტონი 1:1 სტენჰაუზმური

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები

ოსნაბრიუკი 1:1 მაგდებურგი
ვილჰელმშავენი 2:1 ემდენი

## იტალია

სერია B. XXVIII ტური

ბარი 0:2 ჩეზენა
ფროზინონე 0:0 პესკარა
ჯენოა 3:0 ბრეშა
იუვენტუსი 1:0 ტრევიზო
მანტოვა 0:0 სპეცია
მოდენა 1:1 ბოლონია
ნაპოლი 0:0 ვიჩენცა
ტრიესტინა 2:0 არეცო
ვერონა 3:1 პიაჩენცა
რიმინი 1:0 ლეჩე

## პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი
I მატჩები

პლოცკი 1:1 არკა
კორონა 1:0 ლეხი

## ავსტრია

თასის მეოთხედფინალი

ლუსტენაუ 1:3 მატერსბურგი
კერნტენი 0:3 ზალცბურგი
რიდი 0:3 აუსტრია
ჰორნი 1:3 ზალცბურგი (მ)

## ფინეთი

ლიგის თასი. V ტური

კტპ 1:0 მიუპა

## უნგრეთი

თასის მეოთხედფინალი
I მატჩი

მტკ 2:2 ჰონვედი

## ამხანაგური მატჩი

სამხრეთ აფრიკა 1:1 სვაზილენდი

# გიორგი დემეტრაძე: მოვიგებ და მოვიგებთ!

„დემეტრაძის საქმე“ „ბოსმანის საქმედ“ ვერ იქცა, თუმცა გვარიანად ხმაურიანი კი გამოდგა. დემეტრაძე იმ ახალ უკრაინულ კანონს დაუპირისპირდა, რომელიც ამ ქვეყნის ჩემპიონატში უცხოელ ფეხბურთელთა ლიმიტს აწესებს.

დაახლოებით ერთი თვის წინ იყო, დონეცკის „მეტალურგის“ თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ ახალი წესი სასამართლოში რომ გაასაჩივრა. პირველ ჯერზე სასამართლომ დემეტრაძის სარჩელი არ დააკმაყოფილა, მაგრამ სასამართლოების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ერთი უარი ჯერ არაფერს ნიშნავს — დემეტრაძემ უფრო მაღალ ინსტანციაში აპელაცია შეიტანა და ახლა იქიდან ელის პასუხს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გიორგი დემეტრაძეს არც უკრაინელი და არც ქართველი მედიისთვის ინტერვიუ არ მიუცია. მან დუმილი მხოლოდ გუშინ „სარბიელთან“ დაარღვია და ლეგიონერთა საქმეზე და უკრაინის განახლებულ ჩემპიონატზე გვესაუბრა.



— სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ ჟურნალისტებთან ურთიერთობა რატომ გაწყვიტე?

— ამ საქმემ უკრაინაში ისეთი ინტერესი გამოიწვია, თქვენი კოლეგებისგან მოსვენება აღარ მქონდა. ყველაზე და ყველაფერზე მეკითხებოდნენ, მე კი ყველაფრის გამხელა არ მსურდა, უხერხულობას ვგრძნობდი. ამიტომაც ვთქვი, რომ ინტერვიუს აღარ ვიძლევი-მეთქი და მერე ცოტა ამოვისუნთქე. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა ჟურნალისტები სახლის სადარბაზოში მელოდნენ.

— მართალია, თითქოს შენი სარჩელის უკან სხვა, უკრაინულ ფეხბურთში ძალიან გავლენიანი ხალხი დგას?

— ჟურნალისტებს ყველაზე მეტად სწორედ ეს აინტერესებდათ. ვამბობდი, ასე არ არის-მეთქი და ბოლოს მაინც ისე წერდნენ, როგორც თვითონ ფიქრობდნენ. ათასი გვარი და სახელი ახსენეს, დემეტრაძის უკან ეს ხალხიაო.

— რეალურად როგორაა?

— ცხადია, მხარდამჭერები რომ არ მყავდეს, არც სარჩელს შევიტანდი. არის ხალხი, ვინც ჩემს პოზიციას იზიარებს და ამბობს, რომ სიმართლე ჩემს მხარესაა.

— ამ მხარდამჭერთა ვინაობას ვერ გვეტყვი?

— მათი სახელები საზოგადოებისთვის უცნობია, ჩემი მეგობრები არიან, გავლენიანი არავინაა.

— სარჩელის შემდეგ კლუბში რა გითხრეს?

— რა უნდა ეთქვათ. ამ სარჩელით მე, ჩემი უფლებების დაცვას ვცდილობ.

— კონკრეტულად რას მოითხოვ?

— როგორც უკრაინის კონსტიტუციაში წერია, თანასწორუფლებიანობას. უკრაინულ ფეხბურთში ადგილობრივი ფეხბურთელი და ლეგიონერი თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ.

— არადა, სასამართლომ შენი სარჩელი ერთხელ უკვე განიხილა და არ დააკმაყოფილა...

— როგორ დააკმაყოფილებდა, როცა მოსამართლემ, მგონი, არც იცოდა, რას ვითხოვდი. ამგვარი სარჩელით უკრაინული სასამართლოსთვის აქამდე არავის მიუმართავს და მოსამართლისთვის ეს საქმე ცოტა უცნაურიც კი იყო.

— თავად ესწრებოდი პროცესს?

— დიახ, უჩემოდ პროცესი არ ჩაატარეს. ჰოლანდიაში ვიყავი შეკრებაზე და ვიდრე იქიდან არ ჩამოვედი, სასამართლო არ დანიშნეს.

— ითქვა, რომ აპელაციის შეტანას აპირებ.

— ვაპირებ კი არა, აპელაცია ზემდგომ სასამართლოში უკვე შეტანილია, ახლა მოსმენის დღე უნდა დაინიშნოს.

— დარწმუნებული ხარ, რომ პროცესს მოიგებ?

— ამის დიდი იმედი მაქვს. საკმაოდ ძლიერი ადვოკატები მყავს და ისინი ჩემს საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. სიმართლე ჩემკენაა.

— ისიც ითქვა, ამ სარჩელის შემდეგ უკრაინაში დემეტრაძის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეილახებაო...

— ჯერჯერობით უპატივცემულობისას ვერაფერს ვგრძნობ, პირიქით, საქმეში ჩახედული ხალხი ახლა მეტად მაფასებს.

— ამასობაში კი უკრაინის ჩემპიონატიც განახლდა. შენ ჯერ არ გითამაშია. რატომ?

— რა გითხრათ, მწვრთნელის საქმეა. უკვე ორი მატჩია, სათადარიგოებში ვარ, „მეტალურგმა“ კი ორივე მატჩი წააგო. მომავალ ტურში მწვრთნელი ალბათ შემადგენლობას შეცვლის და ძირითადში ჩემი ადგილიც გამოჩნდება.

— უთამაშებლობის მიზეზზე მწვრთნელს არაფერი უთქვამს?

— არა და არც მიკითხავს, შანსს ველი. კო ადრიანსე „მეტალურგში“ ახლახან დაინიშნა და, ეტყობა, ჩემი შესაძლებლობები ჯერ ბოლომდე არ იცის.

— ფორმაში თუ ხარ?

— ახლა რომ ფორმაში ვარ, აქამდე არ ვყოფილვარ. თავს ვატყობ, ძალიან კარგად ვარ მომზადებული. ვფიქრობ, თურქეთთან სანაკრებო მატჩში ურიგოდ არ მითამაშია, ახლა კი უკეთესად ვარ. თანაც, როცა თურქეთს შევხვდით, განია მოსამზადებელი პერიოდი იყო.

— ამ ორი წაგების შემდეგ „მეტალურგის“ საევროსაგზურო შანსები ალბათ საგრძნობლად შემცირდა...

— კი, მაგრამ წინ ჯერ კიდევ ბევრი თამაშია, თითქმის ნახევარი ჩემპიონატი. ახლა „შახტარს“ ვეთამაშებით და, ცხადია, მოგება გაგვიჭირდება, შემდეგ კი ალბათ წარმატებული მატჩები გვექნება.

— მომავალ სანაკრებო შეხვედრებზე რას იტყვი?

— ბევრიც რა ვთქვა?! ჩვენი ნაკრების პროგრესს ყველა კარგად ხედავს. აშკარად მომატებული გვაქვს და მომავალში კიდევ მოვუმატებთ. რა თქმა უნდა, შოტლანდიაში ძალიან ძნელი თამაში გველის, სქოთების მებრძოლი ხასიათის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ ჩვენთვის ეს სულ ერთი იქნება, გლაზგოში მოსაგებად წავალთ და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მოგებულები დავბრუნდებით. შინ ფარერების დამარცხება კი ალბათ არ გაგვიჭირდება.

**კობა ინასარიძე**

# ზურაბ მენთეშაშვილი ზაპოროჟიედან წავიდა
## მოდებაძემ პრობლემების ოპერაცია გაიკეთა

**ზურაბ მენთეშაშვილი** კვლავ უგუნდოდაა, რაც საქართველოს ნაკრებისთვის ხეირის მომტანი ვერ იქნება. მენთეშაშვილი ათი დღე ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ვარჯიშობდა და გუნდის მწვრთნელი სერგეი იაშჩენკოც კმაყოფილი ყოფილა მისით, თუმცა ტრანსფერი არ შედგა.



ზურაბ მენთეშაშვილი

მენთეშაშვილი კვლავაც „შინიკის“ კუთვნილებაა, მაგრამ იაროსლაველელთა თავკაცმა სერგეი ურგანმა ჩვენიანთან თანამშრომლობა არ მოისურვა და არც საქართველოს ნაკრების შუახაზელი აპირებდა რუსეთის პირველ დივიზიონში ბურთაობას.

„ზურა ოთხი დღის წინ წავიდა „მეტალურგიდან“ და ახლა რიგაშია. რა ვარიანტები აქვს და სად აპირებს გადასვლას, არ ვიცი. მენთეშაშვილი და ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობა პირობებზე ვერ შეთანხმდნენ“ — გვითხრა ზაპოროჟიელთა ფორვარდმა ირაკლი მოდებაძემ, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა.

მოდებაძემ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და, მისივე თქმით, უახლოეს მატჩში „მეტალურგის“ 18-კაციან განაცხადში უნდა გამოჩნდეს.

„ვარჯიში ორი დღის წინ დავიწყე. მართალია, ტრავმები ხშირად მაწუხებდა, მაგრამ მუხლის ოპერაციის შემდეგ ყველა პრობლემა უნდა მომეხსნას“ — იმედიანადაა ირაკლი, ხოლო „მეტალურგის“ საამსეზონო მიზნებზე გვითხრა, უკრაინის ჩემპიონატში მერვე ადგილის დაკავებაც უკვე წარმატება იქნებაო.

**ილია ნანობაშვილი**

# ტორპედოს სამი ტუზი კი არა, საჭმლის ფული არა აქვს
## გვიშველეთ! ქუთაისი გუბერნატორს ეაჯება

**სავალალო** სიტუაციაა ქუთაისის „ტორპედოში“. ძნელი სათქმელია, გააგრძელებს თუ არა გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს. ამ დროისთვის გუნდი არ ფინანსდება — ფეხბურთელების დავალიანება გადასახდელია, ბაზაზე საკვები პროდუქტი არ შედის და ფეხბურთელებს ისლა დარჩენიათ, შინ იკვებონ; დავალიანების გამო დღესხვალ ბაზაზე ელექტროენერგიის მიწოდებაც შეწყდება...

ცოტა ხნის წინ „ტორპედო“ თითქოს კომპანია „ვისოლს“ უნდა ეყიდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ითქვა, კლუბის აქციათა 100 პროცენტს კომპანია „სამი ტუზი“ შეიძენსო, რომელიც ადრე სპონსორობდა „ტორპედოს“, მაგრამ ქუთაისელებს აღარც „სამი ტუზი“ აფინანსებს.

როგორც შევიტყვეთ, კლუბის დირექტორატის წარმომადგენლები იმერეთის გუბერნატორ აკაკი ბობოხიძესთან შესულან და ქუთაისური ფეხბურთის გადარჩენა უთხოვიათ, გუბერნატორს კი გადაწყვეტილების მისაღებად სამი დღე დაუთქვამს.

მშიერი „ტორპედო“ ისევ აგრძელებს ვარჯიშს, თუმცა, მდგომარეობა თუ არ გამოსწორდა, სათამაშოდ აღარ გავალთო — უთქვამთ ფეხბურთელებს.

გიორგი კიკნაძის წასვლის შემდეგ გუნდს ჯერ ჯემალ ხერხაძე წვრთნიდა, ახლა კი „ტორპედოს“ იური კვერნაძე ავარჯიშებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მეგრელაძემ 200 000 $ უნდა გაამართლოს

**ორთვიანი** პაუზის შემდეგ, B ჰეპატიტით რომ იყო გამოწვეული, 28 წლის ფორვარდი გიორგი მეგრელაძე აზერბაიჯანის ჩემპიონ „ბაკის“ დაუბრუნდა და ვარჯიში დაიწყო.

მეგრელაძე „ბაკიში“ თბილისის „დინამოდან“ შარშან გადავიდა და როგორც ბაქოელთა გენერალური მენეჯერი ზეინალ მამედოვი ამბობს, „ბაკის“ ეს ტრანსფერი 200 ათასი დოლარი დაუჯდა. აზერბაიჯანულ პრესაში მამედოვს ისიც უთქვამს, სატრანსფერო თანხას და მეგრელაძის თამაშს თუ გავითვალისწინებთ, „ბაკიმ“ შეცდომა დაუშვაო.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველ წრეში მეგრელაძემ ერთი გოლიც ვერ გაიტანა, ოდენ სათასო მატჩებში მოახერხა ბურთის შეგდება და მისგან ახლა ერთხელაც ელიან შედეგიან თამაშს.

„ბაკიში“ მეგრელაძის გარდა კიდევ ორი ჩვენებურია — ალეკო გოგობერიძეშვილი და ამირან მუჯირი. ერთ-ერთი აზერბაიჯანული ვებგვერდი იუწყება, „ბაკიში“ ჯერჯერობით მუჯირიც ვერ ბრწყინავსო.

**ნიკა ჯორჯაძე**

# შოთა სხვა კლასია

## რევაზ ჩელებაძე: იცოდე, როდის წახვიდე!



**34 წლის შოთა არველაძე მინდორს არ შეაბერდება და როცა ფეხბურთს თავს დაანებებს, მერე სადღა ვიპოვოთ ევროპული კლასის თავდამსხმელი? ამაზე საუბარს ხშირად გაიგონებთ გულშემატკივრებშიც და სპეციალისტებშიც. ეს საკითხი საქართველოს ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერსაც აფიქრებს. თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფორვარდ რევაზ ჩელებაძეს ჩვენი ნაკრების თავდამსხმელებზე ვესაუბრეთ. „ჩელეს“ დროინდელი გამარჯვებებითა და გოლებით ტკბობა კარგია, მაგრამ რა გვაქვს დღეს და რა გველის უახლოეს მომავალში? ჩელებაძე გულღიად გველაპარაკა...**

— სადღეისოდ საქართველოს ერთადერთი ევროპული კლასის ფორვარდი ჰყავს — შოთა არველაძე. მისი კარიერა მართლაც სამაგალითოა და გარდა ამისა, დღესაც ძველებური ჟინით უდგება საქმეს. სამწუხაროდ, დანარჩენი თავდამსხმელები შოთასნაირი კლასით და სტაბილურობით ვერ გამოირჩევიან. როდესაც კლუბში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდები, მუდმივად მაღალ დონეზე ყოფნა ძნელია.

**— ახალგაზრდა ფორვარდებიდან რომლებს გამოარჩევდით? ვის შეუძლია თუნდაც ორი-სამი წლის შემდეგ არველაძის შეცვლა?**

— ძალიან სერიოზულ თავდამსხმელად ყალიბდება „ვიტ ჯორჯიას“ ნიკა გელაშვილი. ეს ბიჭი თავდადებულად შრომობს და პროგრესირებს. ერთი პერიოდი ფეხბურთს თავის დაანება, მაგრამ საოცრად შრომისმოყვარე და ნიჭიერია. ამას წინათ „დინამო“ — „ამერს“ ვუყურე, სანდრო იაშვილისა და რატი წინამძღვრიშვილის სიძლიერეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. შეიძლება, წინამძღვრიშვილისთვის ჯერ ადრეა, აი, იაშვილი და გელაშვილი კი აუცილებლად უნდა წავიდნენ უცხოურ გუნდში, მათ საქართველოს ჩემპიონატის დონეს გადააჭარბეს — აქ თუ დარჩნენ, დამუხრუჭდებიან. კიდევ უფრო ახალგაზრდაა ლევან მჭედლიძე, როგორც გავიგე, 17 წლისა რომ გახდება, „ემპოლიში“ თამაშის უფლებას მიიღებს. მჭედლიძე ძალიან ნიჭიერია, თუმცა არ დაგვავიწყდეს: ყველა ამ ჩამოთვლილ ახალგაზრდას სასწაული შრომა მოუწევს, არველაძის დონეს რომ მიაღწიოს.

**— შარშან მჭედლიძესთან ერთად 17-წლამდელთა ნაკრებში ლევან ყენიაც გამოჩნდა. მასზე რას იტყვით?**

— ყენიას სახით ქართულ ფეხბურთს ამომავალი ვარსკვლავი ჰყავს.

**— მას უფრო ფორვარდად ხედავთ თუ გამთამაშებლად?**

— გამთამაშებლად.

**— მჭედლიძე 16 წლისა წავიდა იტალიურ „ემპოლიში“, თქვენ ეთანხმებით ასეთ ადრეულ ასაკში ფეხბურთელთა უცხოეთში წასვლას?**

— მაშინ აქაური კლუბი მდიდარი უნდა იყოს, ფეხბურთელი რომ დააკავოს. უცხოეთში რომ ორმოცდაათჯერ მეტს გიხდიან, რა თქმა უნდა, წახვალ. ეროვნულ ჩემპიონატში გამორჩეული ფეხბურთელები მალევე უნდა წავიდნენ უცხოეთში.

**— ეს კარგია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატიდან ნორმალურ უცხოურ გუნდში გადასვლა ძნელია...**

— სამწუხაროდ, ასეა. სკაუტები აქ არ ჩამოდიან, ან თუ ჩამოდიან, მხოლოდ ერთ-ორ ვარჯიშს შეხედავენ და სრული წარმოდგენა ვერ ექმნებათ ფეხბურთელებზე. აქაურ კლუბებს კი უცხოეთში ხშირი ტურნეების გამართვის საშუალება არ აქვთ.

**— საფეხბურთო აგენტი ხართ და უკრაინაში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი ჩაგიყვანიათ. მაგალითად, გელაშვილსა და იაშვილს თუნდაც საშუალო დონის უკრაინულ გუნდში დამკვიდრება არ გაუჭირდებათ?**

— გელაშვილი ერთი თვის წინ ხარკოვის „მეტალისტში“ მივიყვანე გასინჯვაზე, მწვრთნელს ძალიან მოეწონა — მითხრა, ოთხი ფორვარდი მყავს და ამ ეტაპზე ამიტომ ვიკავებ თავს მის აყვანაზეო. სამაგიეროდ, „მეტალისტმა“ გელაშვილი მაისისთვის დაიბარა.

**— ურუგვაისთან და თურქეთთან მატჩებში ცენტრფორვარდად დავით სირაძემ ითამაშა. მასზე რას იტყვით?**

— სირაძე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მე იგი ნახევარდაცვაში უფრო მახსოვს, ტიპიურ ცენტრფორვარდად კი, რა გითხრათ...

**— ოთარ მარცვალაძე ვერაფრით ჩაჯდა კიევის „დინამოს“ ძირითადში. მისი ხშირი ტრავმები იმის ბრალიც ხომ არაა, რომ უკრაინულ დატვირთვებს ვერ გაუძლო?**

— მარცვალაძე ძალიან ნიჭიერი ფორვარდია. ოთარი დატვირთვებს ვერ შეეგუაო, ამას ვერ ვიტყვი. უბრალოდ, ძალიან მძიმე ტრავმა მიიღო, მყესის ოპერაცია ადვილი გადასატანი არაა.

**— კლაუს ტოპმიოლერი უფრო 4-3-3 სქემის მიმდევარია — როგორ გგონიათ, სამი ფორვარდით თამაში რამდენად ხელსაყრელია საქართველოს ნაკრებისთვის?**

— მე ძალიან მიჭირს იმ კაცის შეფასება, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ათამაშა გუნდი. მით უმეტეს, მწვრთნელი არასოდეს ვყოფილვარ. კლაუს ტოპმიოლერი და ჩვენს ნაკრებში მომუშავე სხვა მწვრთნელებიც კარგი პიროვნებები არიან და საქმეც ხომ მშვენივრად იციან. მათ ფანატიკურად უყვართ ფეხბურთი. მარტო ცუდის დანახვა არაფერს გვარგებს — ქართველები ლანძღვაში დიდოსტატები ვართ, ის კი გვავიწყდება, რომ ტოპმიოლერს საშინლად არ გაუმართლა: გაუთავებელი ტრავმების გამო ყველა სასურველი თავდამსხმელი ჯერ ერთხელაც ვერ შეკრიბა. რაც შეეხება სამფორვარდიან თამაშს, ვფიქრობ, ეს თავისუფლად შეიძლება, როცა შოთა არველაძე წინწაწეული იქნება და დანარჩენები სიღრმიდან პასებით მოამარაგებენ.

**ილია ნანობაშვილი**

# გრიგოლ ჭანტურია: ნაკრებშიც მოკარნახე ვარ

**საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურის „ოლიმპი“ — „ზესტაფონის“ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეროელთა კარის დარაჯი გრიგოლ ჭანტურია იყო. რუსთაველებმა ქულის გადარჩენა ბოლო წუთზე შეძლეს, მანამდე კი ჭანტურიამ რამდენიმე რთული ბურთი აიღო და „ზესტაფონმა“ ლიდერს ქულები რომ აართვა, ჭანტურიას დიდი დამსახურებაცაა. კლაუს ტოპმიოლერმა კი ზესტაფონელ მეკარეს ნაკრებში ერთხელაც უხმო შოტლანდია-ფარერებთან მატჩებისთვის. ჭანტურიასთან საუბარი „ოლიმპი“ — „ზესტაფონის“ შეფასებით დავიწყეთ**




— ისეთი თამაში იყო, მოგებაც შეგვეძლო და წაგებაც. ფეხბურთში ხშირად ხდება, ერთ გუნდს აქვს უპირატესობა, მეორეს კი გოლი გააქვს. რუსთაველებს ჩვენზე მეტი შანსი ჰქონდათ, მაგრამ იქით გავუტანეთ და გამარჯვებამდე ცოტა დაგვაკლდა. ფრე მაინც ლოგიკური შედეგია. რაც შეეხება მსაჯობას, ჩვენს სასარგებლოდ ორი პენალტი უნდა დანიშნულიყო— ჯერ მიხეილ მახვილაძემ აშკარად ხელით ითამაშა საჯარიმოში, მერე კი გაგა ჩხეტიანი წააქციეს. გოლიც თამაშგარედან გაგვიტანეს.

**— მატჩს კლაუს ტოპმიოლერიც დაესწრო. ეს შენთვის დამატებითი სტიმული იყო?**

— ამას არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ..მეტი სტიმული რა გინდა, როცა ლიდერს ეთამაშები. ამ ქულით ჩვენ პირველობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ და არა მგონია, ცუდი საჩემპიონო შანსი გვქონდეს. ჩვენი მიზანი ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა.

**— სხვა მოწინავე ქართული გუნდებიდან „ზესტაფონს“ რა გამოარჩევს?**

— სამი წელიწადია, თითქმის ერთი და იგივე შემადგენლობით ვთამაშობთ და უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, ახალი თაობაც კარგი მოდის. ზესტაფონში თამაშზე საშუალოდ სამი ათასი კაცი დადის და ამითაც გამოვირჩევით.

**— ვინ არის საქართველოში ყველაზე იმედისმომცემი მეკარე?**

— საუკეთესო მონაცემები ნუკრი რევიშვილს აქვს. მისთვის ახლა სათამაშო პრაქტიკაა აუცილებელი. ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა დამკვიდრდეს „რუბინის“ ძირითად შემადგენლობაში, თუ არა და, სხვა გუნდი უნდა მოძებნოს. საქართველოს ჩემპიონატშიც არიან კარგი მეკარეები — ალავიძე, კოლძალაევი, სეფიაშვილი. მათ ვურჩევ, ბევრი იშრომონ და აუცილებლად დაუფასდებათ.

**— ნაკრებში შენი კონკურენტები გიორგი ლომაია და ნუკრი რევიშვილი არიან. როგორ გგონია, ტოპმიოლერი შოტლანდიასთან ან ფარერებთან განდობს კარს?**

— რადგან გამომიძახა, შანსიც მაქვს. ტოპმიოლერი ყველას გვაძლევს თავის გამოჩენის საშუალებას.

**— საქართველოს ჩემპიონატში შენი თამაში სტაბილურია, რასაც ნაკრებზე ვერ ვიტყვით. საერთაშორისო დონეზე ალბათ გამოცდილება გაკლია...**

— ამას ვერ ვიტყოდი, საქართველოს ჩემპიონატში და ნაკრებშიც ერთნაირად ვკარნახობ მცველებს. უკრაინასთან და საფრანგეთთანაც იგივეს ვაკეთებდი, მაგრამ ვინაიდან ნაკრების თამაშს ბევრი გულშემატკივარი ესწრება და დიდი ხმაურია, ხანდახან მცველებს არ ესმით ჩემი. საქართველოს ჩემპიონატს კი ცოტა მაყურებელი ჰყავს და მცველებსაც ადვილად ვაწვდენ ხმას. კარნახი კი გამოცდილებიდან მოდის.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2006-07. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

| | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ვერდერი (გერმანია) — სელტა (ესპანეთი) | (1:0) |
| ლევერკუზენი (გერმანია) — ლანსი (საფრანგეთი) | (1:2) |
| ოსასუნა (ესპანეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (1:1) |
| ტოტენჰემი (ინგლისი) — ბრაგა (პორტუგალია) | (3:2) |
| **ხვალ** | |
| ბენფიკა (პორტუგალია) — პსჟ (საფრანგეთი) | (1:2) |
| ესპანიოლი (ესპანეთი) — მაკაბი (ისრაელი) | (0:0) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) — ნიუკასლი (ინგლისი) | (2:4) |
| შახტარი (უკრაინა) — სევილია (ესპანეთი) | (2:2) |


შოთა არველაძე და მისი „ალკმაარი“ „ნიუკასლის“ დასახვედრად ემზადებიან

## ნიუკასლი 28 წლის პირისპირ

„სევილიას“ დონეცკში „შახტართან“ მძიმე მატჩი ელის. მირჩა ლუჩესკუმ ჩემპიონატში ხარკოვის „მეტალისტთან“ შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი სასევილიოდ დაასვენა და 1:0 მაინც მოიგო.

ერთი კვირის წინ ესპანელები შინ მარცხს ბოლო წუთზე ენცო მარესკას გატანილი პენალტით გადაურჩნენ.

„მსაჯმა აშკარად მასპინძელთა გულშემატკივრების ზეწოლით დანიშნა პენალტი — თქვა ლუჩესკუმ — ვიმედოვნებ, რომ მსგავსი ატმოსფერო ჩვენს სტადიონზეც შეიქმნება.“

სტუმრებს ტრავმის გამო დააკლდებათ მცველი დავიდ კასტედო და ნახევარმცველები — ხესუს ნავასი და რენატო.

„შახტარს“ დისკვალიფიცირებული ჰყავს ნახევარმცველი დარიო სრნა და ბრაზილიელი ფორვარდი ბრანდაო. სამაგიეროდ, დაბრუნდებიან სასჯელმოხდილი მარიუშ ლევანდოვსკი და ალექსანდრ კუჩერი.

„ტოტენჰემი“ „ბრაგას“ მასპინძლობს და თუ „მამლები“ აკრეფილი ტემპით ითამაშებენ, პორტუგალიელებს კარგი დღე არ დაადგებათ.

ინგლისელებმა ბოლო ექვს მატჩში 20 გოლი გაიტანეს და, მათ შორის, სამი ბრაგულ შეხვედრაში, გასულ კვირას კი ამდენივე თვით „ჩელსის“ კარში შეაგდეს.

„სამწუხაროა, რომ „ჩელსისთან“ ორბურთიანი სხვაობა გავანიავეთ, მაგრამ ახლა ამის გარჩევის დრო არ გვაქვს. ჩვენ „ბრაგასთან“ შეხვედრაზე უნდა ვიფიქროთ. სეზონში მე-17 სათასო მატჩი ვითამაშეთ და ძირითად დროში არ დავმარცხებულვართ. კომპლიმენტია, როცა ვამბობ, რომ „ჩელსისთან“ ფრით კმაყოფილი ვარ.“

პოლ ლე გუენის პსჟ-ის საქმე ჩემპიონატში უკან-უკან მიდის. დედაქალაქელები „ოსერთან“ მარცხის შემდეგ ქვედა სამეულში აღმოჩნდნენ და ეს იყო მიჯრით მესამე წაგება.

პსჟ-მ „ბენფიკას“ პირველი მატჩი მოუგო, მაგრამ ასე ცუდად მოთამაშე გუნდს ლისაბონში ძალიან გაუჭირდება.

„ჩვენ უფრო შინაურ პრობლემებზე ვფიქრობთ, ვიდრე უეფას თასზე — თქვა პარიზელმა პედრუ პაულეტამ — ურთულეს ვითარებაში აღმოვჩნდით, რადგან ცალი ფეხი ქვედა დივიზიონში გვაქვს.“

„ლევერკუზენს“ „ლანსის“ ძლევის კარგი შანსი აქვს, რადგან ახლა გუნდი ფორმაშია და 1:0-იც ეყოფა ფრანგების გასაძევებლად.

ლანსურ შეხვედრაში გერმანელები კაცნაკლულნი დარჩნენ, რადგან ქარიმ ჰაგი გაუძევეს და ის დღევანდელ მატჩსაც გამოტოვებს.

ბუნდესლიგაში „ჰამბურგთან“ თამაშში „ლევერკუზენს“ კარსტენ რამელო აკლდა, მაგრამ „ლანსთან“ იქნება. სტუმრებს კი ალბათ მთავარმეგოლე დანიელ კუზინი არ ეყოლებათ, რომლის პენალტითაც მოუგეს „ლევერკუზენს“.

ორბურთიანი სხვაობის ამოქაჩვა მოუწევს „ალკმაარს“, რომელსაც 28 წელია, ევროთასებზე შინ არ წაუგია. ლუის ვან გაალის გუნდი ერთხელ უკვე გამოძვრა ასეთი ვითარებიდან, როცა წინა ეტაპზე „ფენერბაჩესთან“ პირველი ტაიმის შემდეგ 0:2-ს აგებდა, ახლა კი „ნიუკასლთან“ 2:4 მარცხის შემდეგ დაახლოებით მსგავს მდგომარეობაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**

## პალერმო ცბიერი ბოშის წინააღმდეგ
### ძამპარინიმ მთელი რუმინეთი გათათხა

**გასულ** უქმეებზე „პალერმო“ — „ფიორენტინას“ მატჩში მომხდარ ინციდენტზე მითქმა-მოთქმა გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ შეხვედრის 33-ე წუთზე ფლორენციელმა ადრიან მუტუმ მაშინ წამოიწყო შეტევა და გაიტანა გოლი, როცა ტრავმირებული სიცილიელი რობერტო გუანა მინდორზე იწვა. ამან მასპინძელთა მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის განრისხება გამოიწვია და იგი მსაჯმა გააძევა — მას უკვე მისცეს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია.

აღელვებული გვიდოლინი „იების“ თავკაც ჩეზარე პრანდელისაც წაელაპარაკა და მატჩის შემდეგ არაკაციც უწოდა.

„აღშფოთებულნი და დამწუხრებულნი ვართ ფრანჩესკო გვიდოლინის ნერვიული, აგრესიული და ყოვლად გაუმართლებელი ქცევებითა თუ მატჩის შემდეგ გაკეთებული კომენტარებით. ეს ყველაფერი „ფიორენტინას“ შეურაცხყოფას აყენებს და ჩვენ ამას ვერ მივიღებთ. გვიდოლინი თავისი ქმედებებით ძალიან ცუდ მაგალითს აძლევს ქომაგებსაც. გვიდოლინიმ საჯაროდ უნდა მოუბოდიშოს ჩვენს ფანებს, მწვრთნელს, მთლიანად გუნდს და ყველას, ვისაც შეურაცხყოფა მიაყენა“ — ნათქვამია „ფიორენტინას“ ოფიციალურ განცხადებაში.

ფრანჩესკო გვიდოლინი: „ჩემი ერთადერთი შეცდომა არის ის, რომ ჩეზარე პრანდელისთან პირისპირ ლაპარაკი გადავწყვიტე. ჩემს სიტყვებს, თუ საჭირო იქნება, კიდევ ერთხელ გავიმეორებ. ის გოლი არასპორტული იყო და ფეირ პლეის წესების დარღვევით გავიდა. ნამდვილად არ მინდა, ოდესმე ჩემმა გუნდმა ასეთი გოლი გაიტანოს — მსგავს ეპიზოდებში მწვრთნელმა თავისი შეგირდები უნდა გააჩეროს.“

მუტუს თქმით კი, მას წაქცეული გუანა არ დაუნახავს და რადგან მატჩი არც მსაჯმა შეაჩერა, გოლი წესების დაცვით გაიტანა. თუმცა „პალერმოს“ ექსცენტრულმა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ მუტუს „ცბიერი ბოშა“ უწოდა და მთლიანად რუმინეთს გადასწვდა...

„იგი ძალიან ჭკვიანურად, პატარა ბოშასავით მოიქცა — ზოგადად, ყველა რუმინელი ცბიერია. ჩვენ იმ ეპიზოდში სულელებივით გამოვიყურებოდით, რითაც მეტოქემ ისარგებლა. მუტუმ ვითომ ვერ დაინახა წაქცეული გუანა და საბოლოოდ გოლიც გაიტანა. არბიტრსაც რეაქცია არ ჰქონია: კალჩოპოლის სკანდალის მერე რეალურად არაფერი შეცვლილა. მასიმო დე სანქტისი ერთადერთი მსაჯია, რომელიც დასაჯეს და ყველაფერი ძველებურად დარჩა. ერთ-ერთი მაგალითი ისიც არის, რომ მას მერე, რაც ლიდერებში აღმოვჩნდით, პენალტებს საერთოდ აღარ გვინიშნავენ — თქვა ძამპარინიმ — ეს ყველაფერი ყელში ამომივიდა და მინდა, ფეხბურთიდან წავიდე“.

**გიორგი ძაძამიძე**


ადრიან მუტუ ხმაურიან გოლს ზეიმობს


AFP

## უეფამ ვან ბომელს მილანი აუკრძალა

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ამგვარად, ვან ბომელი „მილანთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის ორივე მატჩს გამოტოვებს.

გერმანელთა საყრდენი ნახევარმცველი მადრიდის „რეალთან“ მატჩში მაჰამადუ დიარასთან წაკინკლავების გამო გააძევეს და ორმატჩიანი სასჯელიც ამად მიიღო.

უეფას განცხადებით, ვან ბომელს წესით ერთი მატჩი უნდა გამოეტოვებინა, თუმცა მანამდე მას „ბარსელონასთან“ უხამსად აღმართული მუშტის გამო პირობითი სასჯელი ჰქონდა და ეს წითელი ბარათიც ამიტომ გამკაცრდა.

**ძახა შალამბერიძე**

## ჟუნინიო მიდის?

**ფრანგული** „ლიონის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟუნინიო პერნამბუკანო გუნდიდან წასვლით დაიმუქრა, თუ მას კონტრაქტს 2010 წლამდე არ გაუხანგრძლივებენ.

„თუ ვერ შევთანხმდით, წავალ. კლუბი 2009 წლამდე მთავაზობს ხელშეკრულების გაგრძელებას, თუმცა მე ეს არ მაკმაყოფილებს. 32 წლის ვარ და მინდა, კარიერა „ლიონში“ დავასრულო. ვნახოთ, მოინდომებს თუ არა ამას კლუბიც“ — განუცხადა ჟუნინიომ „ეკიპს“.

**ძახა შალამბერიძე**

# ხორხე ვალდანო: რონალდუ კარგი ქალია,

„ელ მუნდო დეპორტივო“ ხორხე ვალდანოს „ელ კლასიკოს“ დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ესაუბრა. საკმაოდ ვრცელ ინტერვიუში მადრიდის „რეალის“ ყოფილ სპორტულ დირექტორს ლეო მესის შესახებაც ჰკითხეს და „ფილოსოფოსმაც“ (ვალდანოს მეტსახელია) მიუგო, ლეოსნაირი ფეხბურთელი ახლა დედამიწის ზურგზე არ დადისო... წარსულში თავადაც დიდმა მობურთალმა თითქოს წინასწარ განსაზღვრა, ციცქნა არგენტინელი „რეალს“ სამ გოლს რომ გაუტანდა და მთელ მსოფლიოს გადარევდა... ვალდანო თავის დროზე „რეალის“ ფეხბურთელიც იყო, მწვრთნელიც და სპორტული დირექტორიც. მის მწვრთნელობაზე უარს ალბათ არც ერთი ევროგრანდი არ იტყოდა, თუმცა „ელ ფილოსოფომ“ წყნარი ცხოვრება არჩია და 2004 წლის ივნისიდან სამეფო გუნდის საუნივერსიტეტო სკოლის გენერალური დირექტორი გახლავთ. „ელ მუნდო დეპორტივომ“ და ვალდანომ ბევრ საინტერესო თემაზე ილაპარაკეს...

— ოდესმე მადრიდის „რეალში“ დაბრუნდებით?

— გააჩნია, ამას ვინ შემომთავაზებს...

— უკან დასაბრუნებელ ხიდს არ წვავთ?

— მე უკან დასაბრუნებელ გზას ყოველთვის ვიტოვებ.

— სამეფო გუნდთან, როგორც მწვრთნელი, თუ ითანამშრომლებდით?

— ეს თითქმის შეუძლებელია. ათი წელიწადია, სამწვრთნელო საქმიანობას შევეშვი. მე მოწოდებით ფეხბურთელი ვიყავი და არა დამრიგებელი. მწვრთნელობა ჯიუტი, თავისებური ხალხის საქმეა, რომელთა ცხოვრებაც მარტო ფეხბურთის გარშემო ტრიალებს. მე კი ფეხბურთს ცხოვრების ცენტრად ვერ ვაქცევ, არ შემიძლია.

— თქვენი აზრით, რა კატეგორიას მიეკუთვნება ფაბიო კაპელო?

— კაპელო მოწოდებით მწვრთნელია.

— და ფრანკ რაიკარდი?

— რაიკარდი უფრო დიდ წნეხს უძლებს, ვიდრე ეს ხალხს ჰგონია. ნებისმიერ მწვრთნელში არის რაღაც მსახიობური და ჰოლანდიელიც ამ როლს გენიალურად ასრულებს.

— „ბარსელონაში“ მუშაობის დაწყებაზე არასოდეს გიფიქრიათ?

— აი, ეს კი ნამდვილად წარმოუდგენელია. მე ბედმა „რეალი“ მარგუნა, ამ გუნდის ფეხბურთელი ვიყავი, ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელი, შემდეგ ძირითადი „რეალის“ თავკაცი, სპორტული დირექტორი... ახლა რომ „ბარსაში“ გადავიდე, ხალხი რას იტყვის?! „რეალს“ თითქმის მთელი ჩემი ცხოვრების შეგნებული ნაწილი დავუკავშირე.

— თუმცა ფეხბურთის თქვენეული ხედვა უფრო „ბარსელონას“ სტილს ენათესავება...

— დიახ, ამას მეც ვაღიარებ. დღეს იმ სიმაღლეზე ვარ, რომ შემიძლია, ლაზათიანი ფეხბურთის გულშემატკივარი ვიყო და არა ერთი რომელიმე გუნდის.

— ფერნანდო გაგო ახალი ფერნანდო რედონდოა?

— გაგოს რედონდოს დონემდე მისაღწევად ბევრი რამის გაკეთება მოუწევს. იცით, რომ რედონდო ოთხი წლის განმავლობაში „ტენერიფეში“ თამაშობდა? როგორც ახალგაზრდული გუნდის წევრებს სჭირდებათ დიდ ფეხბურთთან თანდათანობით შეჩვევა, ისე სჭირდებათ უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ მოთამაშეებს... ჩვენ ფეხბურთელებად რომ ჩამოვყალიბებულიყავით, თავის დროზე ათასი სირთულის გადალახვა მოგვიხდა. დღეს გაგოს რედონდოდ გამოცხადება სიგიჟეა. მას ნებისყოფა და ნიჭი არ აკლია, მაგრამ ამ როყიო განცხადებებით მის განვითარებას საფრთხეში აგდებენ.

— ძველი ვარსკვლავების გაღმერთება ახლებს სიძნელეებს არ უქმნის?

— მაგალითად, თავის დროზე მარადონამ იმხელა სიმაღლეს მიაღწია, იმხელა პოპულარობა შეიძინა, რომ როცა ლეო მესი გამოჩნდა, დიეგოთი გაბრუებულმა არგენტინელებმა აღარ იცოდნენ, „პულგიტას“ ნიჭის გამო გაეხარათ, თუ საერთოდ, რა გაეკეთებინათ...

— მესი საკმარის თვისებებს ფლობს მსოფლიოში პირველობისთვის?

— დიახ. მგონი, ლეომ თავადაც არ იცის, რა ფენომენური ნიჭის პატრონია. ერთადერთი ადგილი, სადაც მესი თავს ბედნიერად გრძნობს, მოედანია. ამას წინათ ლეოსთან ინტერვიუ წავიკითხე და მან ის დაადასტურა, რასაც მე უკვე დიდი ხანია, ვვარაუდობდი. ეკითხებიან — ლეო, რას იტყვით „ლივერპულის“ ფანებზე, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში შეუსვენებლად მღეროდნენ და თავიანთ გუნდსამხნევებდნენ? ის კი პასუხობს: „იცით, მე ეგ ხალხი არ შემიმჩნევია...“

და რაზე ფიქრობდა მესი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფანობის ქომაგობა ყურადღების მიღმა რომ დარჩა? თქვენ გგონიათ, მატჩზე? არა! „მე მარტო ბურთზე ვფიქრობდი“ — უპასუხა მან...

ხალხო, ეს ბიჭი საოცარ ტალანტს ფლობს. მისთვის ბურთის გარდა არაფერი არ არსებობს ამქვეყნად. იგი თითქოს მოედნის შემადგენელი ნაწილია. მაშინ, როცა დანარჩენები მეტოქე ფანების შიშზე ან მოწინააღმდეგისადმი სიძულვილზე ფიქრობენ, მესი მარტო ბურთს ხედავს და ამიტომაც არის უძლიერესი...




— დღეს მსოფლიოში მესისნაირი ნიჭის მქონე სხვა ფეხბურთელებიც არსებობენ?

— ლეო მესისნაირი ფეხბურთელი დღეს დედამიწის ზურგზე არ დადის.

— და კრიშტიანუ რონალდუ?

— კრიშტიანუ რონალდუსაც მრავალმხრივი ნიჭი აქვს — პასი, ფინტი, სისწრაფე, მაგრამ მისი უარყოფითი მხარე ის არის, რომ ამ შესაძლებლობებს მოედანზე თანაბრად კარგად ვერ ანაწილებს. ეს იგივეა, მაგალითად, ქალზე რომ იტყვიან ხოლმე, რა საოცარი სახე აქვს, რა თვალები, რა ტანი... მაგრამ შეგხვდება ეს ქალი და აღმოაჩენ, რომ საერთო ჯამში მზეთუნახავი სულაც არ არის. რონალდუ ისე კარგად ვერ ამთავრებს, როგორც იწყებს. თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ძალიან ნიჭიერია.

— კიდევ ვისი გამორჩევა შეიძლება?

— „მილანის“ კაკა! არიან სხვა ფეხბურთელებიც, მაგრამ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ერთმანეთთან შედარება შორს წაგვიყვანს.

— რაიკარდის „ბარსელონას“ ევროპულ საკლუბო ფეხბურთში ბრწყინვალე ეპოქის შექმნა შეეძლო?

— რაღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქვეყნად ერთადერთი, ვინც ეს არ დაიჯერა, თავად ბარსელონელები იყვნენ.

— ვის გულისხმობთ?

— ყველას, „ბარსას“ ფანებს, კატალონიურ მედიას... მათ უზარმაზარი მიზნების დასახვა და უსაშველოდ წვრილმან რამეებზე კრიტიკა სჩვევიათ. რაც „ბარსაში“ სინამდვილეში ხდება, „კამპ ნოუზე“ კარგად ვერ ხედავენ. აბა, გაიხსენეთ, რომელია ბარსელონელთა ყველაზე საყვარელი დისკუსია? სულ იმაზე კამათობენ, რომელი შემადგენლობაა კლუბის ისტორიაში საუკეთესო. არადა, ისტორიის შეგრძნება სრულებით არა აქვთ... არ ვიცი, ისტორიისა და რეალობის გრძნობას ფეხბურთელები, მწვრთნელები და უფროსობა რამდენად ფლობენ, მაგრამ „ბარსას“ გულ-

## მადიანი კაპდევილა

**„დეპორტივოს“** მცველმა ხუან კაპდევილამ, რომლის ყიდვაც „შალკეს“ უნდოდა, „ვილიარეალთან“ სამწლიანი წინასწარი კონტრაქტი გააფორმა და სეზონის ბოლოს მანუელ პელეგრინის გუნდში გადავა. „დეპორს“ სურდა, რომ 29 წლის მცველი დაეტოვებინა, მაგრამ კაპდევილას მადა ვერ დააკმაყოფილა — „ვილიარეალში“ იგი ორჯერ მეტ ხელფასს მიიღებს.

## თურქი კარლოსს არ ეშვება

**ესპანური** „ასის“ ვარაუდით, გამორიცხული არ არის, რობერტო კარლოსი ამ ზაფხულს თურქულ „ფენერბაჰჩეში“ გადავიდეს, „რეალმა“ კი სტამბოლური კლუბიდან ურუგვაელი დიეგო ლუგანო მიიღოს.

უკვე მეორე წელია, „ფენერი“ ბრაზილიელის გადაბირებას ცდილობს და ეგებ ახლა მოახერხოს, როცა კარლოსმა „რეალიდან“ წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა.

## მალდინის საიუბილეო ტრავმა

**მენისკის** ტრავმის გამო „მილანის“ კაპიტანი პაოლო მალდინი ექვსი კვირით დააკლდება გუნდს. 38 წლის მალდინიმ კვირას „ინტერთან“ სერია A-ში მე-600 მატჩი ითამაშა და ამ საიუბილეო შეხვედრაში დაშავდა.

მოკლედ, მალდინი „მილანს“ „ბაიერნთან“ საჩემპიონთალიგო მატჩში ვერ დაეხმარება.

## ბარტონია თუ ტაისონი?

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ შარიანი ფეხბურთელი ჯო ბარტონი დააპატიმრეს და დაკითხეს, რადგან ტაქსისტის ცემაშია ეჭვმიტანილი. ამბავი ლივერპულის ერთ-ერთ უბანში ამ თვის დასაწყისში მომხდარა. ბარტონი სწორედ ტაქსის მძღოლის ჩვენების საფუძველზე „გაბაწრეს“, მაგრამ თავდებით გაათავისუფლეს მაისამდე, როცა სასამართლო გაიმართება.

ბარტონი ცნობილი ჩხუბისთავია. თებერვალში „პორტსმუთის“ ფანებს უხამსი ჟესტი აჩვენა, ოქტომბერში „ევერტონის“ ქომაგებს — უკანალი, შარშან ზაფხულს კი „სიტის“ ტაილანდურ შეკრებაზე „ევერტონის“ მავანი ქომაგის საცემად გაიწია.

## მინუს პატრიკ ვიეირა

**„ინტერის“** ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა 24 და 28 მარტს ნაკრებს ვერ დაეხმარება — ამის შესახებ „შავ-ლურჯთა“ პრესმდივანმა განაცხადა.

ვიეირა „ვალენსიასთან“ პირველი საჩემპიონთალიგო მატჩის წინ დაშავდა — მუხლის მყესი დაიზიანა და ახლაც მკურნალობს. მან „ინტერი“ — „მილანის“ თამაში ტრიბუნიდან უყურა და შემდეგ ლიონში გაემგზავრა.

საფრანგეთი 24-ში ლიტვას ხვდება ევრო 2008-ის შესარჩევში, ხოლო 28 მარტს ავსტრიას ამხანაგურად გაეჯიბრება.

რაიმონ დომენეკს ვიეირას გარდა ფრანკ რიბერი, ლუის საა და ტიერი ანრი არ ეყოლება.

# ძალიან გულწრფელიბ: რაული კარგი მოლარე, მესი კი...



შემატკივრები რომ ნამდვილ სამყაროში არ ცხოვრობენ, ეს, ჩემი აზრით, ჭეშმარიტებაა. წარმოიდგინეთ, გუნდს, რომელსაც ჰყავს ლეო მესი, ჰყავს შესანიშნავი შემადგენლობა, მეთაურობს ნიჭიერი მწვრთნელი, არ აწუხებს საარჩევნო ბინძური სკანდალები, საკუთარივე ინჩადის და შინაური პრესის მიერ გაზვიადებული მოთხოვნები მძიმე დღეში აგდებს.

ისე, არც წამყვან მოთამაშეთა ტრავმები უნდა დავივიწყოთ. პრესის მხრიდან კრიტიკამ კი მართლა წარმოუდგენელ მწვერვალებს მიაღწია, რასაც ხელს არც სხვათა გამონათქვამები აკლებენ...

**— მოთამაშეთა გამონათქვამები?**

— მოთამაშეებისაც და გულშემატკივრებისაც. ყველა ყველას აკრიტიკებს და ჰგონია, რომ სხვაზე მეტი იცის. იესო ქრისტე რომ მოვიდეს და ფეხბურთის იდეალური წესები გვიქადაგოს, მეორე დღესვე მავანი გაბრაზებული „პროფესორი“ პრესკონფერენციაზე იტყვის, რა უნდა ამ გრძელთმიან ბიძას, ა, უკვე მეორედ მოვიდა და სულ ერთი და იგივე ზღაპარს გვიყვებაო.

**— ფრანკ რაიკარდს სადავეები ხელიდან ხომ არ გაექცა?**

— რაიკარდი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანია და არა რობოტი. იგი ფეხბურთელებს ავტონომიას, თავისუფლებას ანიჭებს, ზუსტად ისევე, როგორც იმ გუნდებში იყო, ფეხბურთელობისას თავად რომ ბურთაობდა. ეს ღირსებაა და არა სამწვრთნელო ნაკლი.

**— კი მაგრამ, ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსას“ რობოტმა მოუგო...**

— ბენიტესმა იმ ბრძოლაში სამართლიანად გაიმარჯვა, მაგრამ დღეს არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ, „ბარსელონას“ მატჩს უყურებ თუ „ლივერპულისასო“, მე კატალონიელთა მატჩის ყურებისთვის ორმაგს გადავიხდიდი.

**— „ბარსაშ“ იმედები გაგიცრუათ?**

— მე „კამპ ნოუზე“ „ლივერპულთან“ ბოლო ოცმა წუთმა გამანაწყენა. „ბარსას“ სტილის გუნდები საკუთარ კარში გოლის მიღების შემდეგ ანგარიშის გათანაბრებას პირველივე კომბინაციით ცდილობენ. ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში უფრო ფრთხილი და გააზრებული მოქმედებაა საჭირო.

**— რაიკარდის მიერ არჩეული 3-4-3 სქემა რომანტიკული სიგიჟეა?**

— ზუსტად ასე ამბობდნენ, როცა ეს სისტემა პირველად კრუიფმა დანერგა. დაცვითი სქემები და „კატენაჩოს“ მსგავსი ბასტიონები ფეხბურთს ჩიხში აგდებდნენ — აბა, რაღა უნდა გვექნა, მსოფლიო ფეხბურთი საკუთარ საჯარიმოში რომ ჩაკეტილიყო და ელენიო ერერას სისტემის იქით ვერ გაეხედა?! რა მოხდება, ქვეყნად მარტო პრაგმატული, რაციონალური ფეხბურთი რომ არსებობდეს?! ამის წარმოდგენაც მიჭირს... საბედნიეროდ, მეორე მხარესაც არ სძინავს და დროდადრო ისეთი გუნდებიც გამოჩნდებიან ხოლმე, ამ ბასტიონებს მიწასთან რომ ასწორებენ. დაცვითი ფეხბურთი სჯობს თუ შეტევა? ეს დაუსრულებელი დისკუსიაა. რაიკარდმა კი 3-4-3 სქემა სიტუაციის მიხედვით გამოიყენა.

**— რა დააკლდა „ბარსელონას“ წლეულს ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მისაღწევად?**

— ის, რომ სამუელ ეტოოს ტრავმა ჯერ კარგად არ მოურჩენია და მთელი ძალით ვერ თამაშობს.

**— ანუ „კამპ ნოუსთვის“ წარმატების მომტანი სასწაულებრივი ჯინი მაინც ეტოოა?**

— ამ ფეხბურთელს საჭირო სივრცეების მოძებნის და უძნელეს სიტუაციებში გოლების გატანის განსაკუთრებული ნიჭი აქვს. სამუელის გარეშე „ბარსელონას“ ძალების თითქმის ნახევარი აკლდება.

**— ეტოოს „ბარსაში“ გადასვლამ „რეალს“ დიდი ზიანი მიაყენა?**

— „რეალმა“ თავის თავს ზიანი თვითონ მიაყენა.

**— რა სჭირს სამეფო გუნდს?**

— მთავარი პრობლემა სპორტული სტრატეგიის, სტილის უქონლობაა. სტილი კლუბისთვის ჯადოსნური ჯოხია, რომელიც საშუალებას აძლევს, ტალანტების ძებნაში ჩიხში არ მოხვდეს. ამ მხრივ „ბარსელონაში“ იდეალურადაა საქმე, კატალონიელებს ხომ ჯადოქარი კრუიფი ჰყავთ, რომელიც დღესაც სტრატეგიისა და სხვა დარგებში მთავარ, სიტყვაშეუბრუნებელ იდეოლოგად რჩება.

**— „რეალს“ საფეხბურთო იდეოლოგიის ნაკლებობა აწუხებს?**

— „ბარსაში“, როგორც გითხარით, იდეა და სტრატეგია იოჰან კრუიფს უკავშირდება. ეს კაცი, მიუხედავად იმისა, რომ კლუბში თანამდებობას არ ფლობს, სინამდვილეში არსად წასულა და კატალონიურ გუნდს ფასდაუდებელი რჩევებით ამარაგებს. „რეალსაც“ ჰქონდა იდეა, ოღონდ იგი მავან მწვრთნელზე უფრო ფეხბურთელებს ემყარებოდა. როგორც კი ოთხმოციანი წლების ლეგენდარული ხუთეული — ემილიო ბუტრაგენიო, მანოლო სანჩისი, მარტინ ვასკესი, მიჩელი და მიგელ პარდესა — ფეხბურთიდან წავიდა, გუნდი სტრატეგიის გარეშე დარჩა.

**— თავის დროზე რაულმა 17 წლისამ დაიწყო „რეალში“ ბურთაობა. ასეთი რამ ახლაც შეიძლება მოხდეს?**

— არა, რადგანაც ახლა ყველაფერში ფულია მთავარი. დღეს ევროპის ბოლოდროინდელ მეგოლეს ყიდულობენ და არ უცდიან, პატარა ბიჭები როდის დაღვინდებიან.

**— მაშინ „სარაგოსასთან“ რაულს კარგი დებიუტი ვერ გამოუვიდა. მწვრთნელ ვალდანოს ხომ შეეძლო, იგი სათადარიგოებში დაესვა?**

— უკვე ერთი წელი იყო, რაც რაულს ვავარჯიშებდი და ვიცოდი, სინამდვილეში რისი გაკეთებაც შეეძლო. მერე „ატლეტიკოსთან“ მშვენივრად ითამაშა, გოლი გაიტანა, საგოლე პასიც გააკეთა და პენალტიც გაახერხა. ამ ბიჭის არჩევაში არ შევმცდარვარ.

**— „რეალში“ რაული ძველ ვარსკვლავებზე უფრო პოპულარულია?**

— დიახ. შეიძლება ითქვას, რომ რაული დი სტეფანოზე და ბუტრაგენიოს ხუთეულზეც პოპულარულია და ინჩასები დიდ პატივს სცემენ.

**— „რეალში“ მისი ხანა უკვე დასრულდა?**

— ამის არ მჯერა. რაული დიდი ფეხბურთელია, რომელიც დღეს მისთვის შეუფერებელ პოზიციაზე თამაშობს.

**— და რომელია მისი პოზიცია?**

— მეტოქის საჯარიმოსთან, რაც შეიძლება, ახლოს. მთელი ცხოვრება მეგოლე იყო და ახლა უცებ გლადიატორად გადააქციეს. მეგოლის მებრძოლად გადაქცევა სისულელეა!

**— იგი ახალ როლსაც კარგად მოერგო...**

— ვერ დაგეთანხმებით. უბრალოდ, რაული გუნდის კაცია და თუ ეტყვიან, „რეალის“ ინტერესებისთვის „ბერნაბეუს“ სალაროში დადექიო, ამასაც გააკეთებს.

**— არ შეიძლება, რომ რაული ისევ გახდეს გუნდის ლიდერი?**

— რაული მოწოდებით ლიდერია, მაგრამ „რეალში“ ამდენი უცხოელი ვარსკვლავის თავმოყრამ სალიდერო და საავტორიტეტო თითქმის არაფერი დაუტოვა. ნაკრებში სხვანაირადაა საქმე, მის ავტორიტეტს იქ პატივს სცემენ. საერთოდ, „რეალში“ ლიდერობა და ავტორიტეტი დროებითი მცნებებია — მოდის ლუშემბურგო, ბრაზილიელები გრიალებენ, მოდის კაპელო, წესით, იტალიელები უნდა იყვნენ კარგად... ამდენი ცვლა არ შეიძლება, გუნდს ერთი ლიდერი უნდა ჰყავდეს.

**— ვისენტე დელ ბოსკეს კლუბიდან წასვლაზე რას ფიქრობთ?**

— დელ ბოსკეს შემადგენლობასთან ჰქონდა პრობლემები და არა გულშემატკივრებთან. მისმა წასვლამ კი მომდევნო მწვრთნელებზე საზიანოდ იმოქმედა — ყველას ვისენტეს ადარებდნენ და უმეტესობამ ამ ზეწოლას ვერ გაუძლო.

**— და თქვენ რატომ დატოვეთ სამეფო გუნდი?**

— მეც საკმაოდ მძიმე ზეწოლას განვიცდიდი. ვიგრძენი, რომ „ბერნაბეუზე“ ჩემი პერიოდი უკვე დასრულებული იყო. ოთხ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა.

**— რა სჭირდება „რეალს“ სწრაფი წარმატების მისაღწევად?**

— იდეა, რომლის გარშემოც ახალ პროექტს ააგებენ. თუ ეს იდეა კარგია და კარგადაა გადმოცემული, ხალხი მას უმალ აიტაცებს. დღევანდელი პროექტის ეფექტურობაზე ვერაფერს ვიტყვი, პირიქით, ის ხალხს უკვე აღიზიანებს... სანამ საჭირო იდეას არ გამოძებნიან, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მუდამ არეულობა იქნება...

## ჟილბერტო შვიდად შეფასდა

**ტურინის** „იუვენტუსი“ აგრძელებს მოლაპარაკებას ლონდონის „არსენალთან“ ჟილბერტო სილვას თაობაზე. „მეთოფეთა“ ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დინმა „იუვეს“ დირექტორ რობერტო ბეტეგას უთხრა, რომ ბრაზილიელი 7 მილიონი გირვანქა ღირს.

ჟილბერტოს კონტრაქტი „მეთოფეებთან“ 2009-ში იწურება და ხსენებული თანხის გადახდის შემთხვევაში „არსენალი“ ნახევარმცველს დათმობს.

## ძმა ძმისკენ იწევს

**„რენის“** მცველმა ჟაკ ფატიმ განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუკი თავის ძმასთან, რიკარდოსთან ერთად ითამაშებს „რომაში“. „რენთან“ მისი კონტრაქტი 1 ივნისს იწურება და თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია გადასვლა იტალიურ კლუბში.

„ვიცი, რომ ლუჩანო სპალეტის თანაშემწე რიკარდოს ჩემზე დაეკითხა. „რომა“ დიდებული გუნდია და სიამოვნებით ვითამაშებ კრისტიან კივუსა და ფილიპ მექსეშის გვერდით.“

## ესიენს ხუთი დაუმატეს

**ჩელსელმა** მიკაელ ესიენმა, რომელმაც „ტოტენჰემთან“ სათასო მატჩში (3:3) გოლი საკუთარ კარში გაიტანა, კლუბთან კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა. განელი ნახევარმცველი 2005-ში „ლიონიდან“ 24 მილიონ გირვანქად იყიდეს და უმალ ჩაეწერა გუნდში — იგი მაურინიუს ჯილაა და ამ სეზონში უკვე 46 მატჩი ჩაატარა.

## ბექემის წიგნზე დაგეძინება

**ოთხი** ათასი გამოკითხული ინგლისელიდან დაახლოებით ნახევარმა განაცხადა, რომ დევიდ ბექემის ავტობიოგრაფიული წიგნი — „ჩემი ფლანგი“ — მოსაწყენია. მათი თქმით, კითხვას კი დაიწყებ, მაგრამ ბოლომდე ვერ გახვალ, რადგან ნაწერი ძალიან დამღლელია.

მოსაწყენებში პირველ ადგილზე ბრიტანეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის დევიდ ბლანკეტის წიგნია, ხოლო მეორეზე — ბილ კლინტონის მემუარები.

## გატაცებული და თავისუფალი

**იტალიური** „მილანის“ ბრაზილიელ ფორვარდ რიკარდო ოლივეირას და, რომელიც შარშან 4 ოქტომბერს გაიტაცეს, გათავისუფლებულია. მარია დე ლურდეს სილვა ოლივეირა საკუთარი სახლიდან იარაღიანებმა წაიყვანეს, მისი ქმარ-შვილი კი გაკოჭეს.

ჯერჯერობით უცნობია, როგორ მოახერხა პოლიციამ მისი დახსნა და გადაიხადა თუ არა გამოსასყიდი თანხა ოჯახმა.

## რიოდერმა დაიფიცა

**COAL.COM-ის** ცნობით, „ჩელსიმ“ თვალი დაადგა „ნიუკასლის“ და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მცველ სტივენ ტეილორს. „კაჭკაჭთა“ მწვრთნელმა გლენ როდერმა კი დაიფიცა, რომ სანამ ის გუნდის თავკაცი იქნება, არც ტეილორს და არც შარლ ნზოგბიას არსად გაუშვებს.

# მაუს ორი სიყვარული და ბრაზიანი კაცები




**ხომ** წამოცდა ჟოზე მაურინიუს, „რეალის" მწვრთნელობა ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდაო? ჰოდა, იმიტომაც აქვს „ჩელსის" ხელმძღვანელებთან დიდი უსიამოვნება.

დავაზუსტოთ: ესპანეთში ჩემპიონთა ლიგის მომავალი მეტოქის, „ვალენსიას" დასაზვერად ჩასულმა მაურინიუმ ტელეკომპანია „კანალ პლუსთან" ინტერვიუში თქვა, რომ დიდი სიამოვნებით იმუშავებდა პრიმერადივიზიონში, მაგრამ „ჩელსისთან" კონტრაქტით არის შეკრული.

„მომავალ სეზონში ეს ამბავი არ გამოვა, თუმცა გამორიცხვით მაინც ნურაფერს გამოვრიცხავთ" — ბრძანა ლონდონელთა თაკაცმა, რომელიც „ვალენსიასა" და „ოსასუნას" თამაშის სანახავად პამპლონაში „ჩელსის" პრეზიდენტის, რომან აბრამოვიჩის ერთ-ერთი პირადი თვითმფრინავით იყო ჩასული.

ერთი სიტყვით, მაურინიუს ფიცი, „ჩელსის" წინაშე კონტრაქტით ნაკისრებ ვალდებულებას ბოლომდე პირნათლად შევასრულებ და 2010 წლამდე „სტემფორდ ბრიჯიდან" ფეხს არ მოვიცვლიო, თანდათანობით ნაკლებ და ნაკლებ სარწმუნო ხდება, ხოლო მისი ყოველი მორიგი საჯარო გამოსვლა აბრამოვიჩსა და ლონდონური კლუბის სხვა ბობოლებს აბრაზებს.

„ჩელსის" მავანმა თანამშრომელმა გაზეთ „სანის" ჟურნალისტს ასეთი რამ განუცხადა:

„მაურინიუ „ჩელსის" სიყვარულზე სალაპარაკოდ ერთ შესაძლებლობასაც არ უშვებს ხელიდან, თუმცა როგორც კი „რეალზე" ჩამოუგდებენ სიტყვას, მყისვე მადრიდელთა სიყვარულის ფიცს დებს".

როგორც თავად პორტუგალიელმა მწვრთნელმა ერთი ხნის წინ განაცხადა, მას რომან აბრამოვიჩი ორი თვეა, თვალით არ უნახავს, არადა, „ჩელსიში" მდგომარეობის განსამუხტად აშკარაა, რომ ეს ორი კაცი ერთმანეთს უნდა შეხვდეს და თავიანთ ურთიერთობებს ნათელი მოჰფინონ.

**ბაბუნა ძედია**

ჟოზე მარიო დოს სანტოს მაურინიუ ფელიქსი პორტუგალიურ სეტუბალში 1963 წელს დაიბადა. საფეხბურთო სამყაროში ბობი რობსონის თარჯიმნად გამოჩნდა — ჯერ ლისაბონის „სპორტინგში" და მერე „ბარსელონაში".

კატალონიაში ჟოზემ ლუის ვან გაალის სამწვრთნელო მეთოდებიც აითვისა და „ბენფიკაში" მივიდა სამუშაოდ, რათა ჰოლანდიელის იდეები, როგორც „არწივების" დამრიგებელს, ისე განეხორციელებინა. თუმცა „ბენფიკას" სათავეში მხოლოდ 9 მატჩის ჩატარება დასცალდა — ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო თანამდებობის დატოვება მოუწია.

შემდეგ მაურინიუ „ლეირიას" მწვრთნელი იყო და ეს კლუბი სუპერლიგაში საევროტურნირო ადგილზე გაიყვანა.

იმავე სეზონში (2002-03) „პორტუში" მივიდა სამუშაოდ და ორჯერ პორტუგალიის ჩემპიონობა, ჩემპიონთა ლიგა და უეფას თასი მოიგო.

აბრამოვიჩის „ჩელსიში" „მაუ" 2004 წლიდანაა. პორტუგალიელმა „სტემფორდ ბრიჯის" გულშემატკივრებს ზედიზედ ორჯერ ინგლისის ჩემპიონობა და ერთი თასი აჩუქა.

რომან არკადიევიჩთან კონფლიქტის შემდეგ მაურინიუს გარემოცვა ხშირად ახსენებს, რომ ჟოზე სეზონის დასასრულს სხვაგან გადასვლას გეგმავს. მწვრთნელს აგენტად საფეხბურთო ელიტაში ცნობილი ჟორჟე მენდეში ჰყავს, კაცი, რომელიც „რეალში" კიდევ ერთი პორტუგალიელის, მანჩესტერელი კრიშტიანუ რონალდუს ჩაყვანასაც ცდილობს.

სამეფო გუნდის მწვრთნელობის კიდევ ერთი რეალური კანდიდატი ლივერპულელი რაფა ბენიტესია.

„ჯერ ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. თავს „ენფილდზეც" მშვენივრად ვგრძნობ და კლუბის შეცვლა ახლა ჩემს მიზნებში არ შედის. „რეალის" სატრანსფერო ზრახვათა შესახებ კი ყველაფერი ვიცი და მოხარული ვარ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ბენიტესი არ დავიწყებიათ" — უთხრა ძველმა მადრიდელმა „ელ მუნდო დეპორტივოს" ჟურნალისტს.

„ლივერპულის" დამრიგებლის სრული სახელი რაფაელ ბენიტეს მაუდესია. იგი 1960 წელს მადრიდში დაიბადა, წლების განმავლობაში „რეალის" ფილიალ გუნდებში თამაშობდა და იქაურობას შესანიშნავად იცნობს. წვრთნიდა „რეალის" ახალგაზრდულ გუნდებს („ხუვენილ B" და „ხუვენილ A") და მათთან ერთად უამრავი ჯილდოს მოპოვების შემდეგ 1994 წლის 7 მარტს „რეალ კასტილიას" დამრიგებლად დანიშნეს.

იმავე წელს რაფა სამეფო თეთრების მთავარი გუნდის თავკაცის, ვისენტე დელ ბოსკეს თანაშემწე გახდა. 1995-ში მუშაობდა „ვალიადოლიდში" და „ოსასუნაში". შემდეგ იყო „ესტრემადურა" — ბენიტესმა ამ კლუბის პრიმერადივიზიონში გადაყვანა შეძლო.

1997 წელს „ლივერპულის" დღევანდელი თავკაცი მანჩესტერში, მწვრთნელთა სკოლაში სწავლობდა და მერე დევისის უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რაფამ პრიმერადივიზიონში „ტენერიფე" გადაიყვანა და „ვალენსიას" ორჯერ ქვეყნის ჩემპიონობა და უეფას თასი მოაგებინა. „ლამურები" ბენიტესს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობდნენ, თუმცა ცნობილმა სპეციალისტმა ინგლისურ პრემიერლიგაში გადასვლა არჩია — „ლივერპულთან" ერთად მადრიდელმა 2005 წლის ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

„რაფას უყვარს „ლივერპული" და იცის, რომ სადაც უნდა წავიდეს სამუშაოდ, „ენფილდზე" უკეთესი პირობები არ შეექმნება. მისი შეძენა „რეალს" სურს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, იგი ჩვენთან დარჩენას არჩევს" — თქვა „ლივერპულის" ფეხბურთელმა ჯეიმი კარაგერმა.

**ლადო ხომერიკი**

# რომანი და ჟოზე: ვინ აურინიუ საქმეები?



**როგორც** ინგლისური news of the world-ისთვის გახდა ცნობილი, ურთიერთობა „ჩელსის" პრეზიდენტ რომან აბრამოვიჩსა და მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს შორის ახლა კი არ გაიბზარა, მთელი ორი წელია, გაფუჭებულია.

2005 წლის სექტემბერში ლონდონური კლუბის ყმაწვილთა აკადემია ფრენკ არნესენს რომ გადააბარეს, მოჯამაგირე მაურინიუს მეპატრონე აბრამოვიჩთან საქმე უკვე წამხდარი ჰქონდაო, ამბობენ გათვითცნობიერებულები.

კერძოდ, ლონდონელთა ყოფილი სკაუტი ჟოზე ფერეირინია დარწმუნებულია, რომ არნესენის მიყვანით აბრამოვიჩმა მაურინიუს კლუბის საფეხბურთო საქმეთა სრული კონტროლის საშუალება არ მისცა. ფერეირინიამ, რომელიც მაურინიუსთვის ფეხბურთელების შესარჩევად ესპანეთში, პორტუგალიასა და ბრაზილიაში დაჰქროდა, თქვა:

„იყო დრო, როდესაც მაურინიუ „ჩელსიში" ფსკერიდან ჭერამდე ყველაფერს განაგებდა. გარდა მთავარი გუნდისა, მას ყმაწვილ ფეხბურთელთა საქმეებიც ებარა და ისეთი გეგმა ჰქონდა შედგენილი, რომლის თანახმადაც, რამდენიმე წლის შემდეგ „სტემფორდ ბრიჯზე" ფეხბურთელების ყიდვა აღარ უნდა დასჭირვებოდათ. ამასთან, მაურინიუმ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ მისი ნებართვის გარეშე ერთი საკითხიც არ წყდებოდა. მან პირადად იცოდა ყოველი მეტად თუ ნაკლებად გამორჩეული ბავშვის ამბავი, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელთ მეტისმეტი ძალაუფლება რომ არ ეგდო, აბრამოვიჩმა ჟოზე ყმაწვილთა აღზრდის საქმეს ჩამოაცილა და აკადემია არნესენს ჩააბარა".

საქმეში ჩახედული ხალხისთვის დასტურ ცნობილია, რომ მაურინიუ „ჩელსის" ყმაწვილთა აკადემიით უკმაყოფილო იყო. პორტუგალიელს უნდოდა, აკადემიას უმაღლესი დონის ფეხბურთელები აღეზარდა, რასაც ვერ აკეთებდა. რაც შეეხება მაურინიუსა და არნესენის ურთიერთობებს, აქ. თუმცა „ჩელსიში" მომუშავე ხალხი იმას, რაც ამ ორ ადამიანს შორის ხდება, ურთიერთობებს ვერც კი უწოდებს, რადგან ისინი არათუ ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, ერთმანეთის ტერიტორიებზე (მაგალითად, სავარჯიშო მინდვრებზე) არც გადადიან.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს, როდესაც ურთიერთობა აბრამოვიჩსა და მაურინიუს შორის განსაკუთრებით დაიძაბა და ინგლისურ პრესაში მწვრთნელის სავარაუდო გადაყენების შესახებ ლამის ყოველდღე იწერება, „ჩელსის" ფეხბურთელებს შორის გამოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც აშკარად დაუჭირეს მაურინიუს მხარი.

„არის საკითხები, რომელთაც მომავლისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვთ — განაცხადა, მაგალითად, მეკარემ პეტრ ჩეხმა — მინდა, ყველა ღონე ვიხმარო, რათა ჟოზე დარჩეს. ჩვენ საუკეთესო მწვრთნელი გვყავს და მისი გაშვება არაფრით შეიძლება, ისევე, როგორც არ შეიძლება საუკეთესო ფეხბურთელების, მაგალითად, ფრენკ ლამპარდის მოშორება. მისტერ მაურინიუ ყველაზე მძიმე წუთებში მედგა გვერდით და მაშინაც კი მეუბნებოდა, რომ ჩემი სწამს. სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო მოვახერხე გამოჯანმრთელებასა და ძალ-ღონის აღდგენაზე ყურადღების გადატანა და ამიტომაც დავუბრუნდი მოედანს. იმ ამაგის დავიწყება, რომელიც მწვრთნელმა ჩემზე გასწია, შეუძლებელია".

ჩეხის დარად, მწვრთნელის გვერდითაა ნიგერიელი ჯონ ობი მიკელი:

„ჟოზე ჩვენს ბიზნესში უძლიერესია. ამაში ეჭვი არავის შეაქვს და ამიტომაც, თუ გვინდა, ძლიერი გუნდი გვყავდეს, იგი უნდა შევინარჩუნოთ. ვერ გეტყვით, გუნდის გარეთ რა ხდება, მაგრამ ჩვენს გასახდელში ყველაფერი ალალად და მეგობრულად არის. „ჩელსიში" რამდენიმე დიდი ვარსკვლავი თამაშობს, მაგრამ თითოეული მათგანი სულის სიღრმეში უბრალო, კარგი ადამიანია".

**ბაბუნა ძედია**





# კასანოს კაპელო შემოელანძღა

**არა** და არ ეშვება ანტონიო კასანო ფაბიო კაპელოს ლანძღვას. ამჯერად მან თავისი დამრიგებელი „ელ კლასიკოში" არგაკეთებული მესამე შეცვლის გამო გააკრიტიკა, თუმცა ეს ძალიან რბილად ნათქვამია...

„შენ გიჟი ხარ! აბა, შეშლილის მეტი ასე ვინ მოიქცეოდა. მესამე შეცვლა როგორ არ გააკეთე?!" — უთქვამს კასანოს კაპელოსთვის.

ამ ყველაფერს პოპულარული მადრიდული გაზეთი „ასი" წერს.

ჩანს, კასანოს კატალონიელებთან თამაში ძალიან უნდოდა და იმ ყბადაღებულ მესამე შეცვლაშიც თავისი თავი იგულისხმა. „ასის" ინფორმაციით, მწვრთნელის გადაწყვეტილებით სხვა ფეხბურთელებიც უკმაყოფილონი ყოფილან. ოღონდ სამეფო თეთრების დანარჩენი შემადგენლობა თავკაცს პატივს სცემს და პირში არ აგინებს...

„რეალში" ერთად ყოფნის პერიოდში ანტონიომ დონ ფაბიო პირველად 2006 წლის 30 ოქტომბერს „ხიმნასტიკთან" მატჩისას გალანძღა. მაშინ კლუბმა კასანო სადისციპლინო სასჯელით დასაჯა და იანვრის სატრანსფერო ბაზარზეც დააყენა გასაყიდად, თუმცა ბობოქარი „ელ ტალენტინოს" შეძენა არც ერთმა სხვა კლუბმა არ ისურვა.

საინტერესოა, თავგასულ იტალიელს ახლა როგორ დასჯიან?

**ლადო ხომერიკი**

# ვერ მოგვართმევით!
## პრემიერლიგის ბობოლები სახელფასო ზღვარს ითხოვენ

**თუკი** პრემიერლიგაში სახელფასო ზღვარს — 100 ათასი გირვანქა — დააწესებენ, ინგლისის ჩემპიონატი ბევრ „ვარსკვლავს" დაკარგავს. ამას ვარაუდობს „ობზერვერი", რომელსაც „დიდი ოთხეულის" („მანჩესტერი", „ჩელსი", „არსენალი", „ლივერპული") ინკოგნიტო წარმომადგენლები ესაუბრნენ. მათი თქმით, აგენტები ფეხბურთელების ჯამაგირზე საუბრისას პრემიერლიგის სატელევიზიო კონტრაქტისკენ იშვერენ ხელს, აქაოდა, ამდენ ფულს რომ უხდიან კლუბებს, ფეხბურთელებსაც მეტი ხელფასი უნდა მისცენო.

„მანჩესტერის" მავანმა ჩინოვნიკმა „ობზერვერს" განუცხადა: „კლუბსა და კრიშტიანუ რონალდუს შორის ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება ძალიან გაჯანჯლდა. მას ამჟამად კვირაში 60 ათასი გირვანქა აქვს და ორჯერ მეტს ითხოვს. ალბათ მიიღებს კიდეც, მაგრამ მომავალში დიდი პრობლემები შეგვექმნება".

მანჩესტერელი ჩინოვნიკის ჩელსელმა კოლეგამ ეს თქვა: „ლამპარდი ვერ ეღირსება კვირაში 100 ათასზე მეტ ჯამაგირს და ბოლოს და ბოლოს დათანხმდება ჩვენს პირობებს".

„დიდი ოთხეულის" ყველა წარმომადგენელი ერთ აზრზეა: სახელფასო საზღვარი უნდა დაწესდეს, თუნდაც ამან პრემიერლიგიდან ძვირფასი „ვარსკვლავების" გადინება გამოიწვიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბები გალატაკდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მოგვყიდეთ მხეცი!



**ლონდონის** „არსენალს" უნდა, რომ მადრიდის „რეალიდან" ჟულიო ბაპტისტას კონტრაქტი გამოისყიდოს, რაც რვა მილიონი გირვანქა დაუჯდება.

შარშან „არსენალმა" და „რეალმა" ერთმანეთს ფეხბურთელები ათხოვეს — ლონდონიდან მადრიდში ხოსე ანტონიო რეიესი გაუშვეს და სანაცვლოდ ბაპტისტა წაიყვანეს. მეტსახელად „მხეცმა" განსაკუთრებით კარგად ასოციაციის თასის მატჩებში ითამაშა და ვენგერი მისით კმაყოფილია.

გარდა ამისა, „მეთოფეთა" 19 წლის ნახევარმცველ დენილსონით დაინტერესდნენ „ბაიერნი", „რეალი" და „ბარსელონა". მას „არსენალთან" ოთხწლიანი კონტრაქტი აქვს და ვენგერი ნიჭიერი ბრაზილიელის გაშვებას ჯერ არ აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ლივერპულმა კამორანეზი მოიკითხა

**„ლივერპულმა"** „იუვენტუსს" მაურო კამორანეზის ფასი ჰკითხა — წერს იტალიური „ტუტოსპორტი".

მსოფლიოს ჩემპიონი ნახევარმცველი სეზონის დასრულების შემდეგ წასვლას გეგმავს და პრემიერლიგურ კლუბს მისი გადაბირება უნდა. ეს კლუბები ბოლოხანს ძალიან დაინტერესდნენ ერთმანეთის ფეხბურთელებით. „ლივერპული" ტრეზეგეს ყიდვასაც ცდილობს, ხოლო, თავის მხრივ, „იუვეს" ხაბი ალონსო და პიტერ კრაუჩი მოსწონს.

## ვუდგეიტი გამდიდრდება

**ამ კვირაში** „მიდლსბრომ" იქნებ ჯონათან ვუდგეიტის კონტრაქტი გამოისყიდოს მადრიდის „რეალისგან". მის სანაცვლოდ პრემიერლიგელებს 6 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევთ.

THE PEOPLE-ის ინფორმაციით, ვუდგეიტი ოთხწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს „ბოროსთან" და კვირაში 7Ꮾ ათას გირვანქას მიიღებს, რითაც ყველაზე მაღალხელფასიანი გახდება გუნდში.

## ფერგიუსონის კინო: კალიარელა

**„სამპდორიას"** ფორვარდი ფაბიო კალიარელა ეგებ „მანჩესტერ იუნაიტედში" აღმოჩნდეს. „წითლების" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი 23 წლის ფორვარდის თამაშს თურმე DVD-ზე უყურებს.

ფერგიუსონს კალიარელა ჰენრიკ ლარსონის შემცვლელად უნდა. იტალიელი ფორვარდი „სამპდორიას" და „უდინეზეს" საწილო საკუთრებაა. მისი შეძენით „ინტერი" და „მილანიც" დაინტერესებულნი არიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დოლის ხმა დორტმუნდში



**„დორტმუნდის"** მწვრთნელად თომას დოლი დანიშნეს — მან იურგენ რიობერი შეცვალა, რომელიც გუშინწინ გადადგა.

რიობერმა ორთვენახევარი გაატარა გუნდში, მაგრამ ფეხბურთელების უგულისყურობით უკმაყოფილო დარჩა. წასვლის მიზეზადაც ეს დაასახელა.

დოლი კი თებერვლის დასაწყისში მოხსნეს „ჰამბურგიდან", რადგან ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა.

„დორტმუნდი" მე-13 ადგილზეა და ბოლო საფეხურს მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს. მომდევნო ტურში „შავ-ყვითლები" „ნიურნბერგს" უმასპინძლებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ყაზ-ყირ-უზ-აზ
## ვინ ცემეს? მაშენცევი!

ALMA TV INTERNATIONAL CUP

**„ალმა-ტვ"-ის** თასის გათამაშება, რომელიც ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში გაიმართა, მსაჯის ცემით დასრულდა. ფინალში ერთმანეთს მასპინძლები და უზბეკეთის ნაკრები შეხვდნენ.

ერთ ეპიზოდში ყირგიზმა მსაჯმა დმიტრი მაშენცევმა ყაზახთა კარში პენალტი არ დანიშნა, რის გამოც გაბრაზებული უზბეკები მაშენცევს ეცნენ და ორჯერ გემრიელად შემოარტყეს ყურის ძირში. ისეთი ამბავი ატყდა, რომ გასაშველებლად ომონი ჩაერია და მსაჯი ძლივს გამოათრიეს.

ამასობაში კი ყირგიზეთის ნაკრები პროტესტის ნიშნად უკვე შინისკენ, ბიშკეკში მიემგზავრებოდა. მათ სამივე შეხვედრა წააგეს, მათ შორის, ბოლო აზერბაიჯანთან, რომელთან მატჩსაც... აზერბაიჯანელი არბიტრი სჯიდა. გარდა ამისა, თამაშის წინ ყირგიზეთის ჰიმნი არ დაუკრეს და ამით ნაწყენებმა ნამატჩევს პრესკონფერენციაც ფეხებზე დაიკიდეს და ბანკეტიც.

**ვაჟა ხუციშვილი**

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXI ტური

ბენფიკა 2:0 ლეირია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 21 | 17 | 1 | 3 | 46:11 | 52 |
| ბენფიკა | 21 | 15 | 3 | 3 | 42:15 | 48 |
| სპორტინგი | 21 | 12 | 7 | 2 | 32:13 | 43 |
| ბრაგა | 21 | 9 | 5 | 7 | 26:25 | 32 |
| ფერეირა | 21 | 8 | 8 | 5 | 24:26 | 32 |
| ბელენენსეში | 21 | 9 | 4 | 8 | 23:20 | 31 |
| ლეირია | 21 | 8 | 5 | 8 | 16:20 | 29 |
| ნასიონალი | 21 | 8 | 4 | 9 | 30:28 | 28 |
| ნავალი | 21 | 7 | 7 | 7 | 21:22 | 28 |
| მარიტიმუ | 21 | 8 | 4 | 9 | 24:27 | 28 |
| ბოავიშტა | 21 | 5 | 10 | 6 | 23:23 | 25 |
| ამადორა | 21 | 6 | 6 | 9 | 15:24 | 24 |
| აკადემიკა | 21 | 5 | 4 | 12 | 21:34 | 19 |
| სეტუბალი | 21 | 3 | 6 | 12 | 12:30 | 15 |
| ბეირა მარი | 21 | 2 | 8 | 11 | 19:41 | 14 |
| ავეში | 21 | 2 | 6 | 13 | 12:27 | 12 |

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XXV ტური

კაიზერსლაუტერნი 2:1 მიუნხენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 25 | 16 | 6 | 3 | 55:27 | 54 |
| ჰანზა | 25 | 12 | 11 | 2 | 37:20 | 47 |
| დუისბურგი | 25 | 11 | 10 | 4 | 44:29 | 43 |
| ლაუტერნი | 25 | 11 | 10 | 4 | 34:20 | 43 |
| ფიურტი | 25 | 11 | 6 | 8 | 39:29 | 39 |
| აუე | 25 | 12 | 3 | 10 | 38:34 | 39 |
| ფრაიბურგი | 25 | 10 | 9 | 6 | 35:32 | 39 |
| აუგსბურგი | 25 | 9 | 9 | 7 | 28:23 | 36 |
| მიუნხენი | 25 | 10 | 5 | 10 | 35:36 | 35 |
| კიოლნი | 25 | 9 | 7 | 9 | 36:35 | 34 |
| კობლენცი | 25 | 8 | 7 | 10 | 27:33 | 31 |
| პადერბორნი | 25 | 7 | 9 | 9 | 22:26 | 30 |
| ოფენბახი | 25 | 8 | 6 | 11 | 32:39 | 30 |
| უნტერჰახინგი | 25 | 6 | 7 | 12 | 24:33 | 25 |
| კარლ ცაისი | 25 | 6 | 7 | 12 | 27:44 | 25 |
| ესენი | 25 | 5 | 7 | 13 | 26:32 | 22 |
| ბურგჰაუზენი | 25 | 4 | 8 | 13 | 25:49 | 20 |
| ბრაუნშვაიგი | 25 | 3 | 7 | 15 | 12:35 | 16 |

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXVIII ტური

რეიმსი 0:2 შატორუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 27 | 16 | 9 | 2 | 40:13 | 57 |
| კაენი | 28 | 15 | 10 | 3 | 50:27 | 55 |
| სტრასბური | 28 | 14 | 11 | 3 | 33:20 | 53 |
| ლე ავრი | 28 | 12 | 10 | 6 | 41:24 | 46 |
| ამიენი | 28 | 13 | 6 | 9 | 37:34 | 45 |
| შატორუ | 28 | 12 | 6 | 10 | 32:32 | 42 |
| დიჟონი | 28 | 11 | 9 | 8 | 28:31 | 42 |
| ბასტია | 28 | 10 | 10 | 8 | 35:31 | 40 |
| გრენობლი | 28 | 9 | 11 | 8 | 38:33 | 38 |
| გენიონი | 28 | 11 | 5 | 12 | 33:36 | 38 |
| რეიმსი | 28 | 10 | 7 | 11 | 34:33 | 37 |
| აიაჩო | 28 | 9 | 8 | 11 | 32:34 | 35 |
| ლიბურნი | 27 | 9 | 7 | 11 | 33:36 | 34 |
| ბრესტი | 28 | 6 | 13 | 9 | 30:32 | 31 |
| მონპელიე | 28 | 7 | 9 | 12 | 29:34 | 30 |
| გენგამი | 28 | 6 | 11 | 11 | 29:33 | 29 |
| ნიორი | 28 | 5 | 11 | 12 | 23:37 | 26 |
| ისტრი | 28 | 6 | 8 | 14 | 22:41 | 26 |
| კრეტეი | 28 | 5 | 10 | 13 | 19:37 | 25 |
| ტურსი | 28 | 5 | 5 | 18 | 24:44 | 20 |

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XVIII ტური

ლიბერეცი 0:1 სლავია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 18 | 11 | 4 | 3 | 30:15 | 37 |
| სპარტა | 18 | 10 | 6 | 2 | 20:9 | 36 |
| ლიბერეცი | 18 | 9 | 6 | 3 | 24:10 | 33 |
| ბოლესლავი | 18 | 9 | 4 | 5 | 26:20 | 31 |
| იაბლონეცი | 18 | 7 | 7 | 4 | 24:18 | 28 |
| ბრნო | 18 | 7 | 7 | 4 | 20:16 | 28 |
| ტეპლიცე | 18 | 6 | 7 | 5 | 32:26 | 25 |
| ბუდეიოვიცე | 18 | 7 | 4 | 7 | 19:27 | 25 |
| ბანიკი | 18 | 6 | 6 | 6 | 25:24 | 24 |
| პლზენი | 18 | 5 | 7 | 6 | 18:20 | 22 |
| მოსტი | 18 | 4 | 8 | 6 | 21:24 | 20 |
| კლადნო | 18 | 5 | 4 | 9 | 16:27 | 19 |
| სიგმა | 18 | 5 | 3 | 10 | 19:26 | 18 |
| ზლინი | 18 | 3 | 6 | 9 | 11:21 | 15 |
| პრჟიბრამი | 18 | 2 | 8 | 8 | 11:21 | 14 |
| სლოვაცკო | 18 | 1 | 7 | 10 | 13:25 | 10 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 1 | ასტონ ვილა-არსენალი | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| 23:45 | 3 | სიტი-ჩელსი | 7.00 | 3.80 | 1.45 | 2.46 | 1.20 | 1.04 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 16:45 | 5 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.35 | 4.30 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.90 |
| 19:00 | 6 | მიდლსბრო-სიტი | 1.85 | 3.30 | 4.30 | 1.18 | 1.29 | 1.86 |
| 19:00 | 7 | რედინგი-პორტსმუთი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 19:00 | 8 | ტოტენჰემი-უოტფორდი | 1.35 | 4.10 | 10.00 | 1.01 | 1.18 | 2.90 |
| 19:00 | 9 | უიგანი-ფულემი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 19:00 | 10 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 11 | ჩელსი-შეფილდი | 1.17 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.08 | 4.28 |
| 21:15 | 12 | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 17:35 | 13 | ასტონ ვილა-ლივერპული | 4.00 | 3.20 | 1.95 | 1.77 | 1.31 | 1.21 |
| 20:00 | 15 | ევერტონი-არსენალი | 3.30 | 3.10 | 2.20 | 1.59 | 1.31 | 1.28 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 26 | ვესტ ბრომვიჩი-კრისტალ პალასი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 23:45 | 27 | პლიმუთი-ბარნსლი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 28 | საუთჰემპტონი-კოლჩესტერი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 29 | უენსდი-ვულვერჰემპტონი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 19:00 | 30 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 31 | დერბი-კარდიფი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 19:00 | 32 | ლესტერი-ქპრ | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 33 | ლუტონი-იფსვიჩი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 34 | ნორვიჩი-სტოკი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 19:00 | 35 | პლიმუთი-კრისტალ პალასი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 36 | საუთენდი-ლიდსი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 37 | სანდერლენდი-ჰალი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 15:30 | 38 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 41 | სუონსი-ჩესტერფილდი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 42 | იოვილი-ბლეკპული | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 43 | ბორნმუთი-მილუოლი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 19:00 | 44 | ბრედფორდი-ნორთჰემპტონი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 45 | ბრენტფორდი-როტერჰემი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 46 | ბრაიტონი-სკანთორპი | 2.95 | 3.20 | 2.20 | 1.53 | 1.26 | 1.30 |
| 19:00 | 47 | კარლაილი-ჰადერსფილდი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 48 | ქრიუ-ბრისტოლი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 49 | დონკასტერი-ჩელტენემი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 19:00 | 50 | ლეიტონი-ოლდემი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 51 | ნოტინგემი-ჯილინგემი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 52 | პორტ ვეილი-ტრანმერი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 54 | ჩესტერი-როჩდეილი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 55 | შრიუსბერი-პიტერბრო | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 56 | სტოკპორტი-ჰარტლპული | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 57 | უიკომბი-უოლსოლი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 58 | დარლინგტონი-ჰერეფორდი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 19:00 | 59 | გრიმსბი-სუინდონი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| .9:00 | 60 | ლინკოლნი-ბარნეტი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 19:00 | 61 | მენსფილდი-ბოსტონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 62 | დონსი-რექსემი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 19:00 | 63 | აკრინგტონი-ტორკი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 64 | როვერსი-ნოტსი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 65 | ბერი-მაკლსფილდი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 569 | ისტ სტირლინგი-არბროთი | 5.60 | 4.20 | 1.42 | 2.40 | 1.13 | 1.06 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 112 | ჰერტა-კოტბუსი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 113 | შალკე-შტუტგარტი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 18:30 | 114 | ალემანია-არმინია | 2.05 | 3.30 | 3.40 | 1.26 | 1.27 | 1.67 |
| 18:30 | 115 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 2.30 | 3.30 | 2.90 | 1.35 | 1.28 | 1.54 |
| 18:30 | 116 | აინტრახტი-ბაიერნი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 18:30 | 118 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 18:30 | 119 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 120 | ვერდერი-მაინცი | 1.40 | 4.30 | 6.80 | 1.05 | 1.16 | 2.63 |
| 20:00 | 122 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 3.50 | 4.70 | 1.14 | 1.24 | 2.00 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 177 | ლაციო-ემპოლი | 1.65 | 3.10 | 6.00 | 1.07 | 1.29 | 2.04 |
| 23:30 | 178 | სამპდორია-პალერმო | 2.45 | 2.80 | 3.00 | 1.30 | 1.34 | 1.44 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 179 | უდინეზე-ლივორნო | 1.95 | 2.90 | 4.30 | 1.16 | 1.34 | 1.73 |
| 18:00 | 180 | მესინა-ტორინო | 2.20 | 2.80 | 3.45 | 1.23 | 1.34 | 1.54 |
| 18:00 | 181 | მილანი-ატალანტა | 1.33 | 4.20 | 8.50 | 1.01 | 1.15 | 2.81 |
| 18:00 | 183 | პარმა-სიენა | 2.30 | 2.80 | 3.35 | 1.26 | 1.36 | 1.52 |
| 18:00 | 184 | ასკოლი-ინტერი | 10.00 | 4.20 | 1.30 | 2.95 | 1.15 | 1.00 |
| 18:00 | 186 | კალიარი-კიევო | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 18:00 | 187 | კატანია-რეჯინა | 2.60 | 2.80 | 2.85 | 1.34 | 1.35 | 1.41 |
| 23:30 | 188 | ფიორენტინა-რომა | 2.40 | 2.90 | 2.95 | 1.31 | 1.32 | 1.46 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 198 | ალბინოლეფე-კროტონე | 2.05 | 2.60 | 4.10 | 1.14 | 1.36 | 1.59 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 229 | ბილბაო-ოსასუნა | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 23:00 | 233 | მალიორკა-ბეტისი | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 23:00 | 235 | უელვა-ბარსელონა | 4.90 | 3.30 | 1.70 | 1.97 | 1.26 | 1.12 |
| 21:00 | 239 | ვალენსია-რასინგი | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 231 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 20:00 | 232 | დეპორტივო-ხეტაფე | 2.20 | 3.00 | 3.40 | 1.26 | 1.33 | 1.59 |
| 22:00 | 234 | რეალი-ტარაგონა | 1.25 | 4.90 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.28 |
| 23:45 | 237 | სევილია-სელტა | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 20:00 | 241 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 20:00 | 242 | სარაგოსა-ატლეტიკო | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 256 | ლილი-ლე მანი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:00 | 258 | მარსელი-ნიცა | 1.70 | 3.20 | 5.20 | 1.11 | 1.28 | 1.98 |
| 23:00 | 259 | მონაკო-ნანტი | 1.85 | 3.10 | 4.40 | 1.15 | 1.30 | 1.81 |
| 23:00 | 260 | ნანსი-ლიონი | 4.50 | 3.10 | 1.85 | 1.83 | 1.31 | 1.15 |
| 23:00 | 263 | სტ.ეტიენი-ტრუა | 1.70 | 3.20 | 4.90 | 1.11 | 1.26 | 1.93 |
| 23:00 | 264 | სედანი-ბორდო | 2.60 | 3.00 | 2.70 | 1.39 | 1.32 | 1.42 |
| 20:10 | 265 | სოშო-ტულუზი | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 23:00 | 266 | ვალენსიენი-ლორიანი | 2.15 | 2.90 | 3.60 | 1.23 | 1.34 | 1.60 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 254 | ოსერი-ლანსი | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| 23:45 | 262 | რენი-პსჟ | 2.15 | 3.00 | 3.45 | 1.25 | 1.32 | 1.60 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 334 | იონიკოსი-პაოკ | 12.00 | 6.20 | 1.15 | 4.08 | 1.04 | 1.00 |
| 21:00 | 335 | ეგალეო-ოფი | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 336 | ერგოტელისი-კალამარია | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 17:00 | 337 | ქსანთი-პანიონიოსი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:45 | 338 | ირაკლისი-ოლიმპია | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 18:45 | 339 | კერკირა-აეკ | 4.10 | 3.10 | 1.90 | 1.76 | 1.29 | 1.17 |
| 21:00 | 340 | ოლიმპიაკოსი-არისი | 1.22 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.33 |
| 21:00 | 341 | პანათინაიკოსი-ატრომიტოსი | 1.17 | 6.10 | 12.00 | 1.00 | 1.06 | 4.04 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 403 | სანტოსი-ტიგრესი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 23:45 | 406 | კრუს ასული-მორელია | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 23:45 | 408 | ხაგუარესი-ვერაკრუსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:45 | 409 | ატლანტე-კერეტარო | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 23:45 | 410 | მონტერეი-ამერიკა | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 15 მარტი | | | | | |
| 23:45 | 405 | ნეკახა-პუმასი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | | უეფას თასი | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 21:15 | 441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 23:45 | 442 | ვერდერი-სელტა | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| 23:45 | 443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 23:45 | 444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| | | | 15 მარტი | | | | | |
| 22:30 | 445 | შახტარი-სევილია | 2.90 | 3.20 | 2.35 | 1.52 | 1.29 | 1.35 |
| 23:35 | 446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.95 | 3.40 | 3.60 | 1.23 | 1.26 | 1.74 |
| 23:45 | 447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.40 | 3.90 | 8.10 | 1.03 | 1.19 | 2.63 |
| 23:45 | 448 | ბენფიკა-პსჟ | 1.65 | 3.30 | 5.80 | 1.10 | 1.28 | 2.10 |
| | | | შოტლანდია. თასი | | | | | |
| | | | 18 მარტი | | | | | |
| 19:00 | 451 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი (ნ) | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | | შვეიცარია. თასი | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 22:45 | 455 | ბაზელი-აარაუ | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |
| 22:45 | 456 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 23:15 | 457 | ციურიხი-სტ.გალენი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | | 15 მარტი | | | | | |
| 22:45 | 458 | ვილი-იანგ ბოიზი | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| | | | ბელგია. თასი | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 23:45 | 459 | ანდერლეხტი-გენკი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 23:30 | 460 | მეხელენი-გენტი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 23:30 | 461 | კორტრაიკი-ბრიუგე | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 23:30 | 462 | სტანდარდი-ანტვერპენი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | | საბერძნეთი. თასი | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 21:00 | 463 | ოლიმპია-იანინა | 1.55 | 3.30 | 6.30 | 1.05 | 1.24 | 2.16 |
| | | | რუსეთი. თასი | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 14:00 | 465 | ტომსკი-დინამო მ | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 466 | სატურნი-ზენიტი | 2.65 | 2.90 | 2.60 | 1.38 | 1.31 | 1.37 |
| | | | ხორვატია. თასი | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 23:15 | 477 | დინამო-ჰაიდუკი | 1.80 | 3.20 | 3.65 | 1.15 | 1.20 | 1.70 |
| 20:00 | 478 | რიეკა-სლავენი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | | როიალ ლიგა. | | | | | |
| | | | 15 მარტი | | | | | |
| 22:00 | 565 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| | | | ლიბერტადორესის თასი | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 23:45 | 482 | ველესი-ინტერნასიონალი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 483 | პარანა-ფლამენგო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 484 | სანტოსი-ხიმნასია ლპ | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 23:45 | 485 | ტოლუკა-ბოკა ხუნიორსი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| | | | 15 მარტი | | | | | |
| 23:45 | 486 | კუიტო-რივერ პლეიტი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 23:45 | 487 | დეპ.ტოლიმა-გრემიო | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 23:45 | 488 | პასტო-დეფენსორი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| | | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 20:00 | 556 | ტრჟინეცი-ლიბერეცი | 2.25 | 4.00 | 2.25 | 1.44 | 1.12 | 1.44 |
| 20:00 | 557 | ზნოიმო-პარდუბიცე | 2.30 | 4.00 | 2.15 | 1.46 | 1.11 | 1.39 |
| | | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | |
| | | | 14 მარტი | | | | | |
| 21:15 | 677 | ცსკა-ოლიმპიაკოსი | 1.10 | 12.00 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 3.52 |
| 22:15 | 678 | ეფესი-ბარსელონა | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| 23:45 | 679 | ბენეტონი-არისი | 1.12 | 12.00 | 4.30 | 1.02 | 1.00 | 3.16 |
| 23:45 | 680 | ხუვენტუდი-პარტიზანი | 1.25 | 12.00 | 3.20 | 1.13 | 1.00 | 2.52 |
| 15 მარტი | | | | | | | | |
| 22:45 | 681 | პანათინაიკოსი-პროკომი | 1.02 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 23:30 | 682 | ორტეზი-მაკაბი | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| 23:45 | 683 | რომა-ტაუ | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| 23:45 | 684 | უნიკახა-დინამო | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ასტონ ვილა-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | სიტი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 12442 | ვერდერი-სელტა | 1.90 | 1.70 |
| 12443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.60 | 2.00 |
| 12444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.70 | 1.90 |
| 12445 | შახტარი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 2.10 | 1.55 |
| 12447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.70 | 1.90 |
| 12448 | ბენფიკა-პსჟ | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ასტონ ვილა-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | სიტი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13442 | ვერდერი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.90 | 1.70 |
| 13445 | შახტარი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.55 | 2.10 |
| 13447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.90 | 1.70 |
| 13448 | ბენფიკა-პსჟ | 1.95 | 1.65 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ასტონ ვილა-არსენალი | 2.30 | 1.65 |
| 14003 | სიტი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.65 | 2.20 |
| 14442 | ვერდერი-სელტა | 1.20 | 2.60 |
| 14443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.60 | 2.30 |
| 14444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.20 | 2.60 |
| 14445 | შახტარი-სევილია | 2.00 | 1.80 |
| 14446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.65 | 2.20 |
| 14447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.20 | 2.60 |
| 14448 | ბენფიკა-პსჟ | 1.30 | 2.50 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ასტონ ვილა-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | სიტი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15441 | ლევერკუზენი-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15442 | ვერდერი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15445 | შახტარი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15448 | ბენფიკა-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ასტონ ვილა-არსენალი | 2.30 | 1.45 |
| 16003 | სიტი-ჩელსი | 5.00 | 1.10 |
| 16441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.36 | 2.60 |
| 16442 | ვერდერი-სელტა | 1.07 | 5.30 |
| 16443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.32 | 2.80 |
| 16444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.07 | 5.30 |
| 16445 | შახტარი-სევილია | 1.95 | 1.65 |
| 16446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.37 | 2.60 |
| 16447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.08 | 5.30 |
| 16448 | ბენფიკა-პსჟ | 1.22 | 3.60 |

## გოლი: წყვილი-1 კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ასტონ ვილა-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | სიტი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17442 | ვერდერი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17445 | შახტარი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.85 | 1.95 |
| 17448 | ბენფიკა-პსჟ | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ასტონ ვილა-არსენალი | 3.90 | 2.00 | 2.55 | 1.32 | 1.54 | 1.12 |
| 10003 | სიტი-ჩელსი | 6.50 | 2.20 | 1.85 | 1.64 | 1.44 | 1.00 |
| 10441 | ლევერკუზენი-ლანსი | 2.40 | 2.00 | 4.20 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10442 | ვერდერი-სელტა | 1.80 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.43 | 1.73 |
| 10443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 2.35 | 2.10 | 4.30 | 1.10 | 1.51 | 1.41 |
| 10444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.75 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.39 | 1.73 |
| 10445 | შახტარი-სევილია | 3.40 | 2.00 | 2.80 | 1.25 | 1.53 | 1.16 |
| 10446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 2.35 | 2.00 | 4.20 | 1.08 | 1.50 | 1.35 |
| 10447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.80 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.43 | 1.73 |
| 10448 | ბენფიკა-პსჟ | 2.10 | 2.10 | 5.50 | 1.04 | 1.51 | 1.51 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ასტონ ვილა-არსენალი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11003 | სიტი-ჩელსი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.80 |
| 11441 | ლევერკუზენი-ლანსი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11442 | ვერდერი-სელტა | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.80 | 15.00 | 25.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11445 | შახტარი-სევილია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11448 | ბენფიკა-პსჟ | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18441 | ლევერკუზენი-ლანსი | 2.00 | 1.70 |
| 18442 | ვერდერი-სელტა | 1.05 | 8.00 |
| 18443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.30 | 3.00 |
| 18444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.02 | 9.00 |
| 18445 | შახტარი-სევილია | 1.60 | 2.10 |
| 18446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 3.00 | 1.32 |
| 18447 | ესპანიოლი-მაკაბი პ | 1.30 | 3.00 |
| 18448 | ბენფიკა-პსჟ | 1.75 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# აზოტმა ავიამშენი ფინალში ამოიღო

## კოტე ტულუში: მხოლოდ ჩემპიონობა!



მცირე ჩავარდნის შემდეგ რუსთავის „აზოტმა“ ძველებური მრისხანება დაიბრუნა და ჩემპიონატსაც დამაჯერებლად ლიდერობს. ქვემოქართლელებმა უკვე დაკარგეს ერთი ტიტული, თასის გათამაშების ფინალში „ავიამშენთან“ დამარცხდნენ და ახლა ჩემპიონობის გარდა, არაფრის გაგონება არ უნდათ. როგორც „აზოტის“ უკანა ხაზის ბურჯი კოტე ტულუში ამბობს, „ავიამშენთან“ ორი წაგება კარგი გაკვეთილი იყო და საფინალო მეტოქედაც სწორედ მოქმედი ჩემპიონი უჯობს...

— „ავიამშენთან“ თასის ფინალში წაგებას ახსნას იოლად მოვუძებნით, ხოლო ამ გუნდთან ჩემპიონატში დამარცხებას არავითარი გამართლება არ აქვს — გვითხრა ტულუშმა

— მაინც რაში იყო საქმე?

— თასის ფინალამდე ჩვენ არც ერთი თამაში არ წაგვეგო და ვფიქრობ, ზედმეტმა თავდაჯერებულობამ იჩინა თავი. გვეგონა, იმ მატჩსაც იოლად მოვიგებდით და შედარებით არხეინად დავიწყეთ თამაში, ხოლო როცა „ავიამშენმა“ საგრძნობლად გაგვასწრო, მერე ვეღარ შევძელით საქმის გამოსწორება. ისე არ გამიგოთ, თითქოს მხოლოდ ჩვენი თავდაჯერება იყო წაგების მიზეზი — „ავიამშენმა“ ძალიან კარგად ითამაშა, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და თასიც მოიგეს.

— ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ თასის ფინალის შემდეგ „ავიამშენთან“ ჩემპიონატშიც წააგებდით...

— ცოტა თუ ელოდა, რომ ასეთი რამ განმეორდებოდა. თასზე წაგებამ ალბათ ძალიან ცუდად იმოქმედა გუნდზე. ფსიქოლოგიური მომენტიც იყო — მთელი სეზონი წაუგებლად ვიარეთ და მოულოდნელად ყველაზე პრინციპული მატჩი დავთმეთ. გუნდი აირია, მოიშალა და „ავიამშენთან“ მომდევნო მატჩიც დავთმეთ.

— შეიძლება ითქვას, რომ „აზოტს“ ჩავარდნა აქვს?

— ჩავარდნა მართლაც გვქონდა, მაგრამ დღესდღეობით ყველაფერი გამოსწორებულია. „ავიამშენთან“ პირველი წაგება ცუდი იყო, ხოლო მეორე მარცხმა დადებითი შედეგი გამოიღო. გუნდი უფრო შეიკრა და ყველამ მობილიზება მოახდინა. მას მერე თსუ-ს მოვუგეთ, რომელმაც ჩვენთან შეხვედრამდე „ავიამშენს“ სძლია. მართალია, სტუდენტებს 3-4 მოთამაშე აკლდათ, მაგრამ ისინი მაინც საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი და მიუხედავად ამისა, იოლად დავამარცხეთ.

— შენი აზრით, რა არის „აზოტის“ მთავარი უპირატესობა?

— ჩვენთან ყველა რგოლი თანაბრადაა დაბალანსებული. „აზოტი“ საკმაოდ შეთამაშებული გუნდია და არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი. მაგალითად, ერთ მატჩში რომ ერთი გახდება საუკეთესო, მეორეში სხვა გამოიჩენს თავს. ვერ ვიტყვი, რომ გუნდის წარმატებული თამაში ამ სეზონში რომელიმე კონკრეტულ მოთამაშეზეა დამოკიდებული. ამავდროულად, ნებისმიერს შეუძლია, გადამწყვეტ მომენტში ლიდერობა ითავოს და, ვფიქრობ, ეს დიდი პლუსია.

— ასეთი გუნდისთვის ჩემპიონობა ალბათ ერთადერთი მიზანია...

— თასიც არ უნდა წაგვეგო და ახლა, ამ ტიტულს რომ ვერ შევწვდით, მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობთ.

— ამჟამინდელი რესურსი საკმარისია საიმისოდ, რომ ჩემპიონობაზე ასეთი თამამი პრეტენზია გააკეთოთ?

— მიუხედავად იმისა, რომ „ავიამშენთან“ ორჯერ წავაგეთ, გუნდის ხელმძღვანელობისგან სერიოზული პრეტენზია არავის გამოუთქვამს. პირიქით, უფროსობამ დიდი სტიმული მოგვცა და ნდობაც გამოგვიცხადა. ტრანსფერების განხორციელება უკვე შეწყვეტილია, მაგრამ რომც იყოს ნებადართული, არა მგონია, ხელმძღვანელობამ ვინმეს შემატებაზე იფიქროს. ეს შემადგენლობა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ჩემპიონობა მოვიპოვოთ.

— ვინ მიგაჩნია ყველაზე სერიოზულ კონკურენტად?

— ვფიქრობ, „ავიამშენი“ და თსუ თანაბარი ძალისანი არიან. ორივე მათგანს სხვა რგოლებზე მეტად უკანა ხაზი ჰყავს ძლიერი, თუმც საფინალო მეტოქედ მაინც „ავიამშენი“ მირჩევნია. ჯერ ერთი, მოქმედი ჩემპიონია და მეორეც, თასის ფინალში დამარცხებისთვის გვმართებს რევანშის აღება.

— ახლა საკუთარ თავზეც გვითხარი: როგორ მოახერხე „მაკაბისთან“ 11 ცდიდან 11 სამქულიანის ჩაგდება?

— ეს მართლაც გამორჩეული ამბავი იყო — 11-დან ყველას ჩაგდება ვარჯიშის დროს არის ძნელი და მე ეს ჩემპიონატში მოვახერხე. მიუხედავად ამისა, არ ვთვლი, რომ ეს ჩემი საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში. მირჩევნია, „ავიამშენთან“ 20 ქულა გავაკეთო და მოვიგოთ, ვიდრე „მაკაბისთან“ 45 ქულა დავაგროვო.

— ბოლოს სუპერლიგის შოუპროგამებზე გკითხავ. ფიქრობ, რომ ეს კალათბურთის განვითარებას წაადგება?

— რა თქმა უნდა, წაადგება. ეს აქციები 2-3 წლის წინ რომ დაწყებულიყო, დარწმუნებული ვარ, ახლა ჩვენი ჩემპიონატი ახლა გაცილებით საინტერესო იქნებოდა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



დირკ ნოვიცკიმ იხუბა, წააგო, მოიწყინა...

# სხვაგან ქრის მათი გონება

## დალასი გოლდენ სტეიტის ლუკმაა

„გოლდენ სტეიტ ვორიორზი“ მათ რიცხვს არ განეკუთვნება, ვინც ლიგას აზანზარებს, მაგრამ გუშინწინ ნბა-ს საუკეთესო გუნდზე უკეთესად ითამაშა და გვარიანი სენსაცია გამოაცხო — „დალას მავერიკსს“ სულ კუდით ქვა ასროლინა და „ყოველგვარი სინდისის ქენჯნის“ გარეშე 17-მატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა. ზედიზედ 17 მოგება ჰქონდა რეგულარულში პირველობისთვის „დალასის“ მოცილე „ფინიქსსაც“ და ახლა წარმოიდგინეთ, როგორ გაუფუჭეს ხასიათი დონ ნელსონის ახლანდელმა შეგირდებმა ძველებს.

ნელსონმა „გოლდენ სტეიტი“ ფეხზე მყარად ვერ დააყენა, რაც დიდწილად ტრავმების ბრალიცაა, მაგრამ „დალასის“ გამწვარებას კი ახერხებს ეს საშუალო გუნდი, წლეულს ორჯერ შეხვდა და მეორედაც მოუგო. დალასელებს, რომლებსაც სამ თვეში მხოლოდ ორი თამაში წაეგოთ, მთლიანად რეგულარულში კი 61 შეხვედრიდან ოდენ 9-ჯერ დამარცხებულიყვნენ, მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი სირცხვილი ჭამეს — ისინი პრაქტიკულად ვერაფერს უპირისპირებდნენ გუნდურად და ბასრად მოთამაშე მეომრებს, ბურთს აცილებდნენ და კარგავდნენ, მერე კი ნერვებმოშლილები კიდევ უფრო ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ. „დალასის“ ლიდერი დირკ ნოვიცკი ახლაც „საუკეთესო“ იყო — 11 ტყორცნიდან 8 გააფუჭა, 7-ჯერ დაკარგა ბურთი და მერე მწვრთნელმა აივერი ჯონსონმა სკამზე რომ დასვა, მაინც ვერ დამშვიდდა, იმდენი მოახერხა, იქიდან დასტყუა მსაჯს ტექნიკური შენიშვნა.

არც სხვა დალასელები ბრწყინავდნენ: პირველივე წუთებში 0:8 ჩამორჩნენ მასპინძლებს და მართალია, მერე თამაში გაათანაბრეს და პირველი მეოთხედი 31:31 ჩაამთავრეს, მაგრამ მეორე მეოთხედი 18:31 დათმეს, მესამე კი 18:34 და წაგებათა რიცხვი ათამდე ასე შერცხვენილებმა დაამრგვალეს.

მოგებით გაამყებულმა ბებერმა ნელსონმა კი ნამატჩევს თქვა — ეს ყოველივე კანონზომიერად მოხდა, მოგებაში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, ნოვიცკის ორმაგი მეურვეობა რომ დავუწესეთ, ამან პირველი წუთებიდანვე მოგვცა შედეგიო.

პატარა გენერლად წოდებულმა აივერი ჯონსონმა, რომელიც „დალასის“ მწვრთნელად სწორედ ნელსონის პროტექციით დაინიშნა, თავჩახრილმა თქვა — ამ თამაშში არ ვიყავით, სადღაც სხვაგან დაფრინავდა ჩვენი გონებაო.

„ფინიქსმა“ კი მოიგო, ოლ სტარის შემდეგ 11 შეხვედრაში მეათედ და „დალასთან“ ჩამორჩენა შეამცირა. ეს გუნდები ოთხშაბათს ღამით დალასში ხვდებიან ერთმანეთს.

12 მარტი

**გოლდენ სტეიტი 117:100 დალასი**
გოლდენ სტეიტი: პიეტრუსი (20), ბიედრინში (16), რიჩარდსონი (16), ჰარინგტონი (16), ჯექსონი (16)
დალასი: ტერი (16), ჰარისი (16), ნოვიცკი (13)

**ფინიქსი 103:82 ჰიუსტონი**
ფინიქსი: ბარბოსა (32), დიაუ (15), მერიონი (14 ქულა, 15 მოხსნა)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (19), ჰოვარდი (14)

**შარლოტი 119:108 ორლანდო**
შარლოტი: ანდერსონი (24 ქულა, 10 პასი), ფელტონი (21), ვოლესი (20)
ორლანდო: ჰოვარდი (26 ქულა, 11 მოხსნა), თურქოღლუ (23), ნელსონი (17)

**მემფისი 102:113 ნიუ ჯერსი**
მემფისი: გასოლი (19), გაი (17), ეტკინსი (17)
ნიუ ჯერსი: კარტერი (30 ქულა, 10 მოხსნა), მური (24), ჯეფერსონი (18), კიდი (8 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა)

**მილუოკი 93:108 ტორონტო**
მილუოკი: რედი (29), ბელი (25), უილიამსი (18)
ტორონტო: ბოში (25 ქულა, 10 მოხსნა), ფორდი (19)

## კვირის მოთამაშეები

**აღმოსავლეთი** — ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

**დასავლეთი** — მანუ ჯინობილი (სან ანტონიო)





ნბა-მ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად აღმოსავლეთში ლებრონ ჯეიმსი, დასავლეთში კი ემანუელ ჯინობილი დაასახელა.

ლებრონ ჯეიმსს ამგვარი მაღალი პატივი ოთხწლიან კარიერაში მეათედ ხვდა წილად და ალალიც იყო: კვირის ოთხ თამაშში მან თავისი „კლივლენდის“ საკეთილდღეოდ საშუალოდ 32,8 ქულა, 8,5 მოხსნა და 7,8 პასი მოიხვეჭა და ყველა მეტოქე დამწუხრებული გაისტუმრა მოედნიდან.

მანუ ჯინობილის „სან ანტონიომაც“ კვირის ოთხივე შეხვედრა მოიგო და წაუგებელი სერია 12-მდე გაზარდა. ეგაა, ჯეიმსის მონაგართან შედარებით ჯინობილის 20,5 ქულა, 5,0 მოხსნა და 3,5 პასი ცოტა მოკრძალებულ შედეგად ჩანს.

კვირის სიმბოლური ხუთეული: მანუ ჯინობილი (სან ანტონიო), ანდრე იგუდალა (ფილადელფია), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), ჯოშ სმიტი (ატლანტა), შაკილ ონილი (მაიამი)

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# კაცთა მძლეველი ამორძალი





1965 წელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში საქართველოს ნორჩი ქიმიკოსები შეკრებილან და რესპუბლიკურ ოლიმპიადაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ოლიპიადის მონაწილეთა შორის ერთი ობოლი, ბარიტის მაღაროელი ლენინის ორდენოსანი მუშის შვილი, ქუთაისელი გოგონაცაა. თბილისში პირველადაა და იმ დიდ აუდიტორიასაც დაუთრგუნავს. ვერც კი წარმოუდგენია, რომ ქვეყნად სადმე ამხელა აუდიტორია არსებობს.

იქვე მერხებს შორის ერთი მისი თანატოლი ბიჭი ფეხაკრეფით დადის და ფოტოაპარატ „სმენათი" ოლიმპიადის მონაწილეებს აკვირდება... გავა რალაც დრო და ის ბიჭი იქ გადალებულ ერთ ფოტოში ნორჩ ფოტომოყვარულთა რესპუბლიკურ კონკურსში მესამე პრემიას დაიმსახურებს, ის გოგონაც იმ დიდი აუდიტორიიდან მესამე ხარისხის დიპლომს გამოიტანს. ეს დიპლომი მისი პირველი წარმატებაა...

ის ქუთაისელი გოგონა დღეს მათემატიკოსია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი, მშვილდოსნობაში მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, კიდევ მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1981 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ქეთევან ლოსაბერიძე გახლავთ.

ეს სახელგანთქმული „ამორძალი" თავის დროზე ჩუბინობაში ვაჟებსაც კი სჯობნიდა. ასე იყო მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზეც.

ახლა ქეთევან ლოსაბერიძე ზის და უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში „სმენათი" მონადირე იმ ბიჭს, თქვენს მონა-მორჩილს, „სარბიელის" მკითხველისთვის თავისი ოლიმპიური ოქროს ამბავს მოუთხრობს...

**ავთანდილ გურასაშვილი**

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მშვილდოსანთა სარბიელზე დამონტაჟებული ტაბლო ჩვენი ოთხდღიანი ბრძოლის პერიპეტიებს ყოველი გასროლის მერე ასახავდა. გამარჯვებას ყველა ბუტუზოვას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ დაიწყო ბრძოლა და იმ ტაბლოზე პირველი სროლიდანვე ლიდერთა სათავეში „ლოსაბერიძე" რომ დაიწერა, ბოლომდე ასე დარჩა. არადა, შეჯიბრების კომენტარისას ემა გაპჩენკომ ერთხელ ნათქვამი: „ჯერჯერობით ქეთევან ლოსაბერიძე ლიდერობს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს", რატომღაც ჩაიხვია და ბოლომდე მოშლილი პატეფონივით ჯიუტად იმეორა და იმეორა.

ემა გაპჩენკო მიუნხენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი იყო. მაშინ გაპჩენკომ ბრინჯაოს მედალი სულ ბოლო წამს წაართვა და ეტყობა, ამიტომაც მალიმალ იმეორებდა, ყველაფერი შეიძლება მოხდესო.

მოსკოვში ბოლო ისრის გასროლამდე არც მე ვიყავი დარწმუნებული, რომ ოქროს შევწვდებოდი. მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მწარე გამოცდილება მაიძულებდა ფრთხილად, ყურადღებით, მობილიზებით მომეზიდა მშვილდი და გამარჯვება ნაადრევად არ მერწმუნა.

მაშინ მიუნხენში ასეთი გამოცდილება სულაც არ მქონდა, რადგან ჩემს პირველ საერთაშორისო ტურნირზე ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე გამოვედი. ეს 1971 წელს სტრასბურგში მოხდა. იქ წამიყვანეს, როგორც ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული სპორტსმენი. რა თქმა უნდა, ძალიან ვღელავდი და ვერც საპრიზო ადგილი მოვიპოვე, მაგრამ სულ მალე ჟენევაში საერთაშორისო ტურნირი მოვიგე და 1972 წელს ლუქსემბურგში გასამართ ევროპის ჩემპიონატისთვის საბჭოთა გუნდში მაინც მოვხვდი. მოვხვდი და აბსოლუტური ჩემპიონობაც მოვიპოვე, გუნდური ოქროც და 70-მეტრიდან სროლაში მსოფლიოს რეკორდიც დავამყარე. თუმცა ეს ჩემთვის პირველი არ იყო. მსოფლიოს რეკორდით გამოწვეული სიხარული პირველად 1971 წელს ლვოვში, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში განვიცადე. იქ მეორე ადგილი დავიკავე, რეკორდი კი 50-მეტრიან დისტანციაზე დავამყარე. მომდევნო ოლიმპიურ წელს საკავშირო თასიც მოვიგე და უკლებლივ ყველა შეჯიბრებაზე ვიმარჯვებდი, ან მეორე-მესამე ადგილზე გავდიოდი. ამიტომ ოლიმპიურ ნაკრებში უყოყმანოდ შემიყვანეს.

მიუნხენის სარბიელზე, მიუხედავად იმისა, რომ მშვილდისარი ხელში პირველად ხუთი წლის წინათ დავიკავე, ჩემი იმედი ჰქონდათ და მედალსაც ელოდნენ. მართლაც, სულ ახლოს ვიყავი წარმატებასთან, მაგრამ ბოლოს ნერვიულობა დავიწყე. საბოლოოდ ოქროც დავკარგე, ვერცხლიც და ბრინჯაოც. მეოთხე ადგილზე გასულმა ის ერთი ქულა სწორედ გაპჩენკოსთან წავაგე.

„ლოსაბერიძემ „ოქრო" დაკარგა, „ვერცხლი" დათმო, „ბრინჯაო" კი გააჩუქაო" — ნახევრადხუმრობით ამბობდა საბჭოთა ნაკრების შეცბუნებული მწვრთნელი არსენ ბელოვი. ეს მარცხი საშინლად განვიცადე. იქვე ავტირდი. ყველანი გარს შემომეხვივნენ: მწვრთნელებიც, მეტოქეებიც, თანაგუნდელებიც და ამაოდ მამშვიდებდნენ და მაწყნარებდნენ. მეუბნებოდნენ, ყველაზე ახალგაზრდა ხარ, მალე გამოცდილებაც მოვა, ყველაფერი წინ გაქვსო.

მეტი რაღა დამრჩენოდა, მთელი იმედები მონრეალის ოლიმპიადას დავუკავშირე, მაგრამ მალე გავთხოვდი, მშვილდოსნობასაც გამოვეთხოვე და ოლიმპიურ მედალზე ფიქრსაც. ბოლოს 1978 წელს სასპარტაკიადოდ ჩემს ქმარს შეუჩნდნენ, იქნებ ცოლი როგორმე დაიყოლიო და მშვილდოსნობაში დააბრუნო, ვაკეში კი ბინას მოგცემთო. იმანაც შორიდან მომიარა და მეც მეტი რაღა მინდოდა. სიხარულით ცას ვეწიე, ის განათხოვრებული მშვილდ-ისარი უკან მოვიტანე და ფანტასტიკური ტრიუმფით დავბრუნდი. უმეტოდ არსად ვრჩებოდი, მსოფლიოს რეკორდებს ერთიმეორის მიყოლებით ვამყარებდი. ჩემი მეტოქეები და საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელები გაკვირვებულები მეკითხებოდნენ, შენ ჩუმჩუმად იატაკქვეშეთში ხომ არ ვარჯიშობდიო.

ერთი სიტყვით, ოლიმპიურ ნაკრებში კვლავ უყოყმანოდ შემიყვანეს, თუმცა მანამდე ჩემზე აღარავინ ფიქრობდა და ახალგაზრდობას შესცქეროდნენ.

ნაკრების ორ ადგილზე ოთხი უმთავრესი პრეტენდენტი ვიყავით: ბუტუზოვა, როგოვა, რუსტამოვა და მე. ბოლოს ორნი დავრჩით, მე და ბუტუზოვა, მაგრამ როგორც კი ეს ოფიციალურად ითქვა, პოლონეთში საერთაშორისო ტურნირზე როგოვამ გაიმარჯვა, თანაც 30-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

როგოვა უზბეკეთიდან იყო და მისი ამ წარმატების მერე რესპუბლიკის მესვეურები მიდგნენ, მოდგნენ და იმდენი ქნეს, რომ ოლიმპიადის დაწყებამდე ნოვოგორსკში ჩემსა და როგოვას შორის დამატებითი ოთხდღიანი შეჯიბრება მოაწყვეს.

ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ოლიმპიადაზე უნდა ყოფილიყო. სარბიელზე ყველანი გამოიყვანეს, ოღონდ სხვებს ისე, საკონტროლო სროლები ჰქონდათ და შეჯიბრების სრულ ილუზიას ქმნიდნენ.

დაიწყო შეჯიბრება და ისარს ისარში ვარჭობ. ამასთან დაკავშირებით მერე უკვე ოლიმპიადის შემდეგ „სოვეტსკი სპორტი" წერდა: „...ლოსაბერიძე თუ როგოვა... დავა, როგორც იტყვიან, „ოჯახურია", მაგრამ, ვფიქრობთ, ამის მოყოლა არ ღირს, იმდენად, რამდენადაც კარგად ჩანს ოლიმპიური ჩემპიონის ხასიათი — „ჯერ მეწყინა, რატომ არ მენდობიან-მეთქი. მერე გავბრაზდი, ბოლოს კი დავმშვიდდი. რადგან ვიღაცა თხოულობს, დაუმტკიცე, რომ ნამდვილად ძლიერი ხარ." ორთაბრძოლაში საბედნიეროდ, არც ქეთევანი შემცდარა თავის თავში და არც მწვრთნელები ქეთევანში..." მაგრამ ეს მერე იყო.

მაშინ კი, როგოვასთან ბრძოლის მესამე დღეს მან მოულოდნელად მშვილდ-ისარი დაუშვა, დადო და ბრძოლა შევწყვიტოთ, შენ ჩემზე ძლიერი ხარ, გუნდშიც შენ უნდა იყოო. თან მომიბოდიშა, ეს შეჯიბრება მე სულაც არ მინდოდა, მაგრამ მაიძულეს, გამოვსულიყავიო. ჩვენ მეგობრები ვიყავით და ეს ამბავი გულში ხინჯად არ დაგვრჩენია, თუმცა იმ შეჯიბრებაზე ისეთ აზარტში ვიყავი, რომ როგოვას ბრძოლის შეწყვეტაზე უარი ვუთხარი, თავადაც მაინტერესებს, საბოლოოდ რა შედეგს ვაჩვენებ-მეთქი. საბოლოოდ კი მართლაც ძალიან მაღალი შედეგი ვაჩვენე — 2569 ქულა.

ამდენ ქულას ოლიმპიადაზეც ველარ მოვუყარე თავი, თუმცა რაც შევძელი, გამარჯვებისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, მეტიც, ვაჟთა შორის ფინელ ჩემპიონ ტომი ჰოიკოლაინენსაც კი ვაჯობე, მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე პირველობას 18 ქვეყნის 29 მშვილდოსან ქალთაგან ყველა ტაშკენტელ ნატალია ბუტუზოვას უწინასწარმეტყველებდა.

რა თქმა უნდა, გამარჯვება ძალიან მინდოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მედალს მოვიპოვებდი, ოღონდ ბოლომდე არ მჯეროდა, ოქროს თუ შევწვდებოდი. მაგრამ როგოვასთან დამატებითი „საქმის გარჩევამ" ჩემზე დოპინგივით იმოქმედა. იმ ანდაზისა არ იყოს, ხარმა ხარს ურქინა და უკეთეს ბაგაზე მიაგდოო, მეც ასე დამემართა. შეჯიბრება ძალიან მობილიზებულმა და შემართებულმა დავიწყე.

მე და ბუტუზოვა აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში გამოვდიოდით. ერთ ცვლაში მოვხვდით და ერთადვე ვისროდით. დავწინაურდი, მაგრამ ფეხდაფეხ მომდევდა. როგორც იტყვიან, ზურგსუკან მეტოქის სუნთქვას ვგრძნობდი. შეჯიბრების მეოთხე დღეს გაავდრდა.

ისევ „სოვეტსკი სპორტს" მოვიშველიებ: „ქარი განუწყვეტლივ ზუზუნებდა. მოულოდნელად კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. სროლა შეუძლებელი იყო. არადა, რომ არ ესროლათ, არც ის შეიძლებოდა. სამი ისრის გასროლისთვის 2,5 წუთია განკუთვნილი... ამ თავსხმაში ბევრნი შედრკნენ, ფინიშის წინ ბორის ისაჩენკომ ოქროს მედალი დაკარგა. ქეთევან ლოსაბერიძე კი კაცებზე ზუსტად ისროდა, 30-დან 29 ქულა...

წუთიც და თავიდან ფეხებამდე გაწუწულ, გათოშილ ქეთევანს მეგობრები ოლიმპიურ ჩემპიონობას ულოცავდნენ"...

ბოლო სერიაში 29 ქულა მოვაგროვე. 30 მეტრზე ოლიმპიური რეკორდიც დავამყარე. ბოლო ისრის გასროლის მერე მოვარდნენ ჟურნალისტები, ფოტოკორესპონდენტები, კინოოპერატორები... მოვიდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დავით პერტენავა და მისი მოადგილე, ტყვიის სროლაში მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი შოთა ქველიაშვილი.

სასპარტაკიადოდ დაპირებული ოროთახიანი ბინა ვაკეში ჯერ მიღებული არ მქონდა, ამიტომ პერტენავას ნახევრადხუმრობით ვუთხარი, ოლიმპიური ოქროსთვის ერთ ოთახს ხომ არ დამიმატებთ-მეთქი. აცხონოს ღმერთმა, დამპირდა და პირობა შეასრულა კიდეც. თბილისის უნივერსიტეტში მათემატიკის კათედრის გამგე პოლიკარპე ზერაკია კი, ვისთანაც ვმუშაობდი, მერე ხუმრობდა, გლდანიდან ვაკეში გადასვლა უნდოდა, იქ ბინას უმიზნებდა და მაგი მოსკოვში მიზანს რავა ააცდენდაო.

ორი წლის მერე დიდი ხნის ნანატრი შვილიც შემეძინა, მაგრამ ახლა გული იმაზე მწყდება, რომ ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალზე ველარ გამოვედი — 2 აგვისტოს მოსკოვში, მთავრობის სახლში ბანკეტი მოგვიწყვეს. სულ ორიოდე ჭიქა დავლიე, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილ-დაქანცული და გამოფიტული, რომ იმ ორიოდე ჭიქამ საშინელ დღეში ჩამაგდო, ამიტომაც ოლიმპიადის დახურვა უკან დამრჩა...

# მოკრივეებმა ბორჯომს გლდანი დააყოლეს



ქართველმა მოკრივეებმა ორკვირიანი ბორჯომული შეკრება მოილიეს და თბილისში დაბრუნებულები უმალ გლდანის დარბაზში შეიკრიბნენ. ნაკრების თავკაცმა ავთანდილ შოშიაშვილმა ამჯერად შემადგენლობა გააფართოვა. იგი მთავარ კანდიდატებს ორი კვირაც წაავარჯიშებს, 25 მარტს კი ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე იახლებს. აზერბაიჯანული და გაზაფხულ-ზაფხულზე გასამართი რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრის შედეგებით კი ის თერთმეტეული უნდა გამოვლინდეს, საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლებისა და ოლიმპიური ლიცენზიებისთვის რომ იბრძოლებს. ბორჯომული შეკრება მხოლოდ თორმეტმა მოკრივემ გაიარა და ავთანდილ შოშიაშვილთან საუბარიც ამით დავიწყეთ

— მიზეზთა გამო, ამ შეკრებაზე მხოლოდ საქართველოს ჩემპიონები წავიყვანეთ. გამონაკლისი 75 კილოგრამი წონითი კატეგორია იყო, რომელშიც ვერცხლის პრიზიორმაც გაიარა მზადება.

— ბორჯომში აქამდე მხოლოდ მოჭიდავეები ჩადიოდნენ სავარჯიშოდ. კმაყოფილი დარჩით იქაური პირობებით?

— სასტუმრო „ოლიმპში“ დავბინავდით და იქვე დარბაზში დღეში სამჯერ ვვარჯიშობდით. მშვენიერ პირობებში ვიყავით და, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დავრჩი. ბიჭებიც ბოლომდე დაიხარჯნენ და, რაც მთავარია, ტრავმას არც ერთი არ შეუწუხებია. ბორჯომში მთელი ყურადღება ფიზიკურ მომზადებაზე გადავიტანეთ, მომდევნო შეკრებებზე კი უფრო მეტ დროს ტაქტიკას დავუთმობთ.

— გლდანის დარბაზშიც იგივე შემადგენლობა ივარჯიშებს?

— ბორჯომმოვლილებს ნაკრების რამდენიმე მთავარი კანდიდატი მივამატეთ. სულ თხუთმეტი მოკრივე შეიკრიბა.

— მთავარ კანდიდატებში ალბათ ხმაურიან ფინალებში დამარცხებულ კონსტანტინე კუპატაძესა და დავით წიკლაურს გულისხმობთ...

— რა თქმა უნდა. მაგრამ, სამწუხაროდ, კუპატაძესთან დაკავშირება ჯერ ვერაფრით მოვახერხეთ. იმედია, ამ დღეებში შემოგვიერთდება.

— კუპატაძის და წიკლაურის ფინალში დამარცხების სამართლიანობაში ბევრს ეჭვი ეპარება. არადა, ამ წაგებით მათ ნაკრების პირველნომრობა დაკარგეს. როგორ უნდა დაიბრუნონ?

— ამ შეკრების დასრულებისთანავე ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე მივდივართ და იქ შიდა კონკურენციაშიც ბევრი რამე გაირკვევა. ალბათ დამეთანხმებით, ნეიტრალური მსაჯები ამ საკითხშიც აბსოლუტურად ნეიტრალურები და სამართლიანები იქნებიან. საერთოდ კი მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობის დასახელებამდე ჯერ დიდი დროა. იქამდე კანდიდატები კიდევ არაერთხელ გამოიცდებიან.

— შემოდგომამდე რამდენ საერთაშორისო ტურნირზე გეგმავთ გამოსვლას?

— ალბათ 4-5 ტურნირზე. ცხადია, მოვაწყობთ შეკრებებსაც. და კიდევ, გვინდა ამხანაგური შეხვედრა გავმართოთ რომელიმე უცხოურ ნაკრებთან. ასეთი რამ თბილისში ბოლოს როდის მოეწყო, აღარც მახსოვს. ფედერაცია მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს და იმედია, მალე კონკრეტული პასუხიც გვეცოდინება.

— თუ საიდუმლო არაა, რომელ ნაკრებებზეა საუბარი?

— კავკასიის, ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნების ნაკრებებზე. რომელი ვარიანტი უფრო რეალურია და რომელი ნაკლებად, ამაზე ნამდვილად ვერ გიპასუხებთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მსოფლიომ რუსეთს მსოფლიო წაართვა

**სამოყვარულო** კრივის საერთაშორისო ასოციაციამ სენსაციური განცხადება გამოაქვეყნა. საგანგებოდ შეიქმნა 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომისია. ეს კი ნიშნავს, რომ რუსეთს მომავალი დიდი ტურნირის მასპინძლობის უფლება ჩამოერთვა. 15-30 სექტემბერს მოსკოვში ჩასატარებელ ჩემპიონატს ხაზი თავად AIBA-ის პრეზიდენტმა უ ცინ გომ გადაუსვა.

საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარედ იტალიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო ფალჩინელი აირჩიეს. ახალი მასპინძლის დასახელებამდე კი ჯერ ის უნდა გაირკვეს, სად და როგორ შეარჩევენ მოსკოვის შემცვლელს.

ამ დროისთვის ყველაზე რეალურ კანდიდატად კორეული ჩეჟუ მიიჩნევა. სწორედ ეს ქალაქი იყო რუსთა მთავარქალაქის ოპონენტი AIBA-ის აღმასკომის სხდომაზე, ტაივანში 9 თებერვალს ჩატარებულ განმეორებით კენჭისყრაზე და მაშინ მოსკოვმა მეტი ხმები დააგროვა. რუსეთის კრივის ფედერაციის განცხადებით, ის კენჭისყრა AIBA-ს წესდების დარღვევით ჩატარდა. მოსკოვის გამასპინძლების გადაწყვეტილება წინა აღმასკომზე მიიღეს და განმეორებითი კენჭისყრაც არ უნდა გამართულიყო, მაგრამ მსოფლიოს ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ დოკუმენტაციის გაქრობა მოიმიზეზა, ირწმუნებიან რუსები. ხელმძღვანელობა კი AIBA-ში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ შეიცვალა.

მოსკოვისთვის მასპინძლობის ჩამორთმევის მიზეზებზე ჯერჯერობით არც საერთაშორისო ასოციაცია დაკონკრეტებულა და არც ნირწამხდარი რუსები საუბრობენ ბევრს. ერთი კი უკვე ნათელია — 15-30 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატს მოსკოვი აღარ უმასპინძლებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ვიტალი კლიჩკო მართლა ბრუნდება

## უკრაინელს 2 ივნისს მასკაევი ელის




**ვიტალი კლიჩკოს** რინგზე დაბრუნების იდეა ნელ-ნელა ხორცს ისხამს. უკანასკნელი ინფორმაცით, კლიჩკოსა და WBC-ს ვერსიით ჩემპიონ ოლეგ მასკაევის შტაბები მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმდნენ, რისი მიხედვითაც ამ ორი მუშტის მქნეველის ჯახი აუცილებლად შედგება.

მოგეხსენებათ, კლიჩკომ თავიდანვე განაცხადა, რომ დაბრუნების შემთხვევაში თავისი ძველი ქამრის დაბრუნებას ეცდებოდა, რომელიც ახლა მასკაევს უპყრია. ამათ ბრძოლაზე თავიდანვე წავიდა საუბარი თუმც აქ WBC-ს ჩემპიონობაზე სავალდებულო პრეტენდენტი ნიგერიელი სამუელ პიტერი გამოტყვრა და ხმამაღლა განაცხადა, მასკაევმა ჯერ ჩემთან უნდა იჩხუბოს და თუ მომერია, კლიჩკოს მერე შეხვდესო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ აფრიკელი უბრალოდ, მეტის შოვნას ცდილობდა — საბოლოოდ 2 750 000 დოლარი მისცეს და პიტერი მაშინვე გაჩუმდა.

.ასე რომ, საქმე კლიჩკო-მასკაევის პრომოუტერებზეღა იყო დამოკიდებული და აგერ რუსის წარმომადგენელ დენის რაპაპორტის განცხადებით, თითქმის ყველა პირობა შეთანხმებულია და ბრძოლა 2 ივნისს გაიმართება.

სავარაუდოდ, ეს ჯახი მოსკოვში შედგება.

**კახა ლომჯაშვილი**




AFP

# ინგემ მსოფლიოს ფარფლი დაუქნია

**თანამედროვეობის** ერთ-ერთმა უდიდესმა მოცურავე ქალმა ინგე დე ბრუინმა თავი დიდი სპორტიდან წასულად გამოაცხადა. ჰოლანდიელი ქალთევზა ისედაც კარგა ხანი არ ჩასულიყო დიდ აუზში, 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე 50-მეტრიანი თავისუფალი სტილის მოგების შემდეგ ტურნირებზე აღარც ჩნდებოდა, ახლა კი ადგა და ოქროს ვარსკვლავებით მოოჭვილ თავის კარიერას ოფიციალურად დაუსვა წერტილი.

„ჩემი კარიერა დამთავრებულია, მე მივაღწიე ჩემს მწვერვალს — ამბობდა დე ბრუინი პრესკონფერენციაზე — 33 წლის ვარ, ეს კი ცურვაში ღრმა ვეტერანის ასაკია. ჩემი სხეული ველარ აზერხებს ძალების აღდგენას. დროის და ახალგაზრდობის დაბრუნება არც მე და არც სხვას ხელეწიფება.“

ინგე დე ბრუინი მიდის და თან მიაქვს ოლიმპიადაზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მოხვეჭილი ოქრო-ვერცხლის მთელი ასხმულა. სხვათა შორის, ჰოლანდიელის ვარსკვლავმა გვიან გამოანათა. 27 წლის იყო, პირველი ოლიმპიური ჩემპიონობა რომ მოიპოვა, ამ ასაკში მრავალი გამოჩენილი მოცურავე კარიერის დაისზეა. აგერ ავსტრალიელი იან ტორპი 24 წლისა გამოემშვიდობა სპორტს.

დე ბრუინმა გვიან გამოანათა, მაგრამ ისე აკაშკაშდა, რომ თავისი თაობის ყველა ქალი მოცურავე დაჩრდილა: 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ერთბაშად 3 ოქროს მედალი მოიგო — 50 და 100 მეტრზე თავისუფალი და 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით გაცურვებში, 2004 წელს კი 50 მეტრზე ისევ იმარჯვა და მეოთხე ოლიმპიური ოქრო დაიკიდა ძალუმ გულმკერდზე. მას შანსი ეძლეოდა, მეხუთე ოქროც მოეპოვებინა, სთავაზობდნენ, პეკინში 50 თავისუფალ მეტრზე გამოდიო. რომ გამოსულიყო და მოეგო, უნგრელი კრისტინა ეგერსეგის და ავსტრალიელი დაუნ ფრეზერის შემდეგ მესამე ქალი მოცურავე გახდებოდა, რომელმაც ერთ სახეობაში ზედიზედ სამი ოლიმპიადა მოიგო. მაგრამ ინგემ მტკიცედ იუარა — „ყველა მედალი უკიდურესად მძიმე ბრძოლაში მოვიპოვე, იოლად არაფერი მოსულა. ჰკითხეთ ნებისმიერ ოლიმპიურ ჩემპიონს, რა შრომად უჯდებათ მოგება. პეკინში მე გამარჯვების დიდი შანსი არ მექნებოდა და არ მინდოდა, უკანასკნელი ოლიმპიადა მე-7 ან მე-8 ადგილზე დამესრულებინა.“

**კოტე ყორშია**

# კანასმა თავისი გააკეთა და წავიდა

**კაცები**

ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 3 285 000 $

**მესამე წრე**

**კარლოს მოია** (ესპანეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:4 6:4; **დავიდ ფერერი** (14, ესპანეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:1 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (12, სერბეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:2 6:1; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (6, აშშ) 6:2 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:3 6:1; **ენდი მიურეი** (13, ბრიტანეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:1 6:3; **ტომი ჰაასი** (9, გერმანია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:1 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — რობინ სოდერლინგი (26, შვედეთი) 7:6 7:6; **ივან ლიუბიჩიჩი** (8, ხორვატია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:1 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:6 4:6 7:6; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — ტომი რობრედო (7, ესპანეთი) 6:7 6:2 6:0; **რიშარ გასკე** (18, საფრანგეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3 1:6 6:3; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — ოლივიე როხუსი (33, ბელგია) 6:3 7:6; **ხუან-იგნასიო ჩელა** (30, არგენტინა) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:2 6:2; **მაიკლ რასელი** (აშშ) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:1 7:5; **ხუან-კარლოს ფერერო** (22, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 4:6 7:6 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:4 6:4

**ქალები**

ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 2 100 000 $

**მესამე წრე**

**სიბილ ბამერი** (33, ავსტრია) — შუაი პენგი (30, ჩინეთი) 6:3 6:3; **ანა ივანოვიჩი** (10, სერბეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:2 6:1; **ტატიანა გოლოვინი** (13, საფრანგეთი) — სამანტა სტოსური (21, ავსტრალია) 6:2 6:0; **ნადია პეტროვა** (4, რუსეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 4:6 6:3 6:0; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (6, ჩეხეთი) — აშა როლე (აშშ) 6:3 4:1 (უარი); **მარიონ ბარტოლი** (17, საფრანგეთი) — დინარა საფინა (9, რუსეთი) 6:4 6:3; **აი სუგიამა** (16, იაპონია) — ტატიანა გარბინი (20, იტალია) 6:7 6:1 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:1 7:6

ჯერჯერობით წლის უმთავრესი სენსაციის ავტორმა, გუშინწინ როჯერ ფედერერის წამქცევმა გილერმო კანასმა ალბათ იფიქრა, ესეც საკმარისიაო და შემდეგი შეხვედრა იმდენად უგბილოდ წააგო, რომ მისგან შვეიცარიელის დამარცხება კიდევ უფრო აუხსნელ მოვლენად აქცია. როგორც ჩანს, არგენტინელი გვიანობამდე აღნიშნავდა თავის წარმატებას და გუშინ კორტზე ამიტომაც დალასლასებდა, რის გამოც ძალიან ადვილად გაუმკლავდა არცთუ საზარბიელო ფორმაში მყოფი კარლოს მოია. ესპანელმა ვეტერანმა ორივე სეტში თითო ბრეიკი გააკეთა და ეს მცირე უპირატესობა ისე მშვიდად და აუღელვებლად შეინარჩუნა, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყოს. კანასს კი შეუძლია სამშობლოში გაბრუნდეს და ინტერვიუები არიგოს — საგაზეთო ფურცლებიდან ის კარგა ხანს არ ჩამოვა.

შავად წაუვიდათ საქმეები ფავორიტთა სხვა დამწიოკებლებსაც. მაგალითად, სახლის გზას გაუყენეს ლეიტონ ჰიუიტის დამცემი იანკო ტიპსარევიჩი. ალბათ, კანასის მსგავსად სერბიც თავის გმირობაზე ფიქრობდა და მომდევნო თამაშისადმი ველარ განეწყო - ასეა თუ ისე, ბალკანელს დავიდ ფერერმა მაინც უსასტიკესად გადაუარა. დასაჯეს მარატ საფინის წამქცევი ნიკოლა მაჰუც, რომელსაც ენდი მიურეი გაუმკლავდა, თან ძალიან იოლად.

ისე, გუშინდელმა დღემ სენსაციის გარეშე მაინც არ ჩაიარა და ინდიან უელსიდან გაძევებულ ბობოლებს კიდევ ერთი, თან შარშანდელი ფინალისტი და წლეულს მეექვსე ნომრად განთესილი ჯეიმს ბლეიკი მიაყოლეს. ეს მისია ჟულიენ ბენეტომ იკისრა და წარმატებითაც გაართვა თავი — ამ ფრანგს ხანდახან უყვარს ტურნირებზე განსაკუთრებულად თავის გამოჩენა და, სავარაუდოდ, ახლა ზუსტად ასეთი დრო უდგას.



ენდი როდიკი

AFP ინდიან უელსიდან

ფედერერის გავარდნის შემდეგ შემორჩენილმა უმთავრესმა ფავორიტებმა — რაფაელ ნადალმა და ენდი როდიკმა კი მშვიდად იმარჯვეს და მეოთხე წრეს ზედმეტი წვალების გარეშე უწიეს. ამერიკელი ოლივიე როხუსს გაუსწორდა და ახლა საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელის ახალგაზრდა რიშარ გასკეს სახით. ესპანელმა ვარსკვლავბიჭუნამ კი თანამემამულე ფერნანდო ვერდასკოს მოუგო და ახლა კიდევ ერთ თავისიან, ხუან-კარლოს ფერეროსთან მოუწევს ურთიერთობების გარკვევა.

ქალთა ტურნირზე ყველაფერი ისევ საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობს. ერთადერთი და მცირე მოულოდნელობა დინარა საფინას წაგება იყო, ვისაც მარიონ ბარტოლიმ აჯობა. სხვა მხრივ კი ფავორიტებს განსაკუთრებულად არ გასჭირვებიათ შემდეგ ეტაპზე ადგილის დაბევება.

მოიგეს რუსებმა — სვეტლანა კუზნეცოვამა და ნადია პეტროვამ, თუმც ორივემ კინაღამ წაიფორხილა. ეს უფრო პეტროვაზე ითქმის, რომელმაც მოულოდნელად წააგო პირველი სეტი ლაურა გრენვილთან, მაგრამ მომდევნო ორ პარტიაში ამერიკელი კორტზე გაკრა.

**ბახა ლომჯარიძე** 

# ქალებმა ბადე გაწიეს



სოფო ქვაცაბაია

ლადო ჩიხლაძე, ვისაც ზედიზედ მესამე შვეიცარიული ტიტულის მოგება სწადია, ვილენის ჭერქვეშა ხალიჩაზე თამაშს კორტის მასპინძელთან, 24 წლისა და რეიტინგში 955-ე ადგილზე მყოფ ფრედერიკ ნუსბაუმთან შეხვედრით დაიწყებს.

ამ ნუსბაუმმა ძირითად ბადეში თამაში კვალიფიკაციის გავლით დაიმსახურა და იმედია, ლადო ამაზე გააჩერებს. თუ ასე მოხდა, მერე ჩი ხლაძე ან მე-2 ნომრად განთესილ მაკედონიელ რომან ბორვანოვს შეხვდება, ანაც შვეიცარიელ სვენ სვინენს, სწორედ იმას, ვინც ბოლო ორ კვირაში ორ ფინალში დაამარცხა — ჯერ ლოგრენში, მერე ვადუცში.

ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა ტურნირებს რაც შეეხება, ერთბაშად ორმა ჩვენებურმა შეძლო საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა და ძირითად ბადეში მოხვედრა.

სოფო ქვაცაბაიამ ეს ათენის მაგარსაფარზე გააკეთა. 18 წლის ქართველმა ჯერ 15 წლის ბერძენს პანორია ცეკოურას 6:1 6:1 გადაუარა, შემდეგ კი თავის თანატოლს, კლასიფიკაციაში 1024-ე ადგილზე მყოფ ჩეხ ზორა ვლცკოვას 7:5 6:3 მოუგო და ახლა, ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ასევე 18 წლის რუსს, რეიტინგში 850-ე ადგილზე მყოფ ავგუსტა ციბაშევას შეხვდება.

მანანა შაფაქიძემ კი ისრაელში, რაანანას ჰარდზე ივარგა. 18 წლის ქართველმა, ვისაც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 880-ე ადგილი უჭირავს, საკვალიფიკაციო ეტაპზე, სამ მეტოქეს სძლია — ამერიკელ შირილ გერშონს 6:2 6:1 მოუგო, ბელარუსი ნანა მალახოვიჩი 3:6 6:0 6:2 დაჯაბნა და კიდევ ერთ ბელარუს ტატიანა ტეტერინას კი ორ სეტში 6:2 6:2 მოუმთავრა საქმე.

ძირითად ტურნირში შაფაქიძის პირველი მეტოქე მე-7 ნომრად განჩესილი 17 წლის თურქი კაგლა ბიუკაკჩაი იქნება, ვისაც კლასიფიკაციაში 604-ე პოზიცია უკავია.

სამწუხაროდ, რაანანული ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში დამარცხდა ნათია გეგია, ვისაც 7:6 7:6 სძლია გერმანელმა სტეფანია ალფერმა.

ვერ დაძლია ქაიროს თიხაზე მიმდინარე შეჯიბრის საკვალიფიკაციო ბარიერი შეჯიბრზე ორგანიზატორთა მიწვევით მოთამაშე მარიამ კუპრეიშვილმა. 16 წლის ქართველს რუსმა ნადეჟდა სამოილომ იოლად — 6:1 6:1 აჯობა.



# ეკლსტოუნს იდეები არ ელევა

ხუთი წლის წინათ საპირველფორმულო ჩემპიონატებში ქულათა დარიცხვის სისტემა შეიცვალა, რის შედეგადაც ყოველ რბოლაში ექვსის ნაცვლად უკვე რვა ადგილი გახდა ჩასათვლელი, ხოლო პირველ-მეორეს შორის სხვაობა ოთხიდან ორ ქულამდე შემცირდა.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას სურდა, ამ რევოლუციური რეფორმით მიხაელ შუმახერის დომინირება შეემცირებინა, რომელიც ვადამდე კარგა ხნით ადრე ინაღდებდა ხოლმე ჩემპიონობას და „სამეფო რბოლებისადმი“ ინტერესს ანელებდა. პირველივე სეზონში სიახლემ რეფორმატორებისთვის სასურველი შედეგი მოიტანა — საპირველო ბრძოლა გამძაფრდა და ექვსი რბოლის მომგებ შუმის მორიგი ტიტული კინაღამ წაართვა კიმი რაიკონენმა, რომელსაც მხოლოდ ერთი გამარჯვება ჰქონდა.



AFP

მაგრამ ამ სისტემას დიდი ნაკლიც აღმოაჩნდა — საგრძნობლად შემცირდა მეორე პოზიციაზე მყოფი პილოტების აქტიურობა და გასწრების მცდელობა. ისინი ბოლო წრეებზე უმეტეს შემთხვევაში აღარ რისკავენ და ურჩევნიათ, ფინიშთან მშვიდად მივიდნენ მეორეები — განსხვავება ხომ მხოლოდ ორი ქულაა, წინათ კი დანაკარგი ორჯერ მეტი იყო.

იდეის ავტორი ბერნი ეკლსტოუნი ამის გამო უკმაყოფილოა: „მეორე ადგილისთვის ქულების მომატების ვარიანტმა ვერ გაამართლა. ლიდერის მდევარი გამარჯვების შემთხვევაში დამატებით ხომ სულ ორ ქულას მიიღებს. ამიტომ თითქმის აღარაა გასწრებები და მთავარი ბრძოლაც ბოქსებში მიდის — ვინ ვის აჯობებს ჭკუით. ჩემი აზრით, ჩემპიონობა უნდა ერგოს იმას, ვინც მეტ რბოლას მოიგებს, ხოლო მეორე ადგილები გამარჯვებების თანაბრობისას დავითვალოთ. ცხადია, წლევანდელი სეზონის რეგლამენტში არანაირი ცვლილება არ მოხდება, 2008 წლისთვის კი მინდა, ეს მანკიერი სისტემა გაუქმდეს და, როგორც ფორმულა 1-ის კომისიის თავმჯდომარე, ამ საკითხს აუცილებლად წამოვწევ.“

**გია ახალაძე**



## ვარდები ჰოსპიტალში



ინგლისის ნაკრების მელელოვეს მაიკ ტინდალს ექვს ერზე საფრანგეთთან მოგებული მატჩი ჩაშხამდა. 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანგებს გადამწყვეტი ლელო რომ გაუტანა, რამდენიმე წუთში ზედახორაში მოჰყვა და ხერხემალი დაუზიანდა. „ტრავმატოლოგთა თქმით, მინიმუმ ერთი კვირა მკაცრ რეჟიმში სავაადმყოფოში უნდა გავატარო, მერე კი ერთთვიანი სარეაბილიტაციო კურსი მელის“ — განაცხადა ნირწამხდარმა ტანდოლმა.

შევახსენებთ, რომ ექვსი ერის ბოლო ტურში უელსთან ინგლისს არ ეყოლება შერკინებას ტვინი სტივ ტომსონი, ვინც წლევანდელ მსოფლიოს თასსაც გამოტოვებს და კაპიტანი ფილ ვიკერი. ვიკერი გასულ კვირას ინგლისის ჩემპიონატში დაშავდა, როდესაც ჯეელმა მეტოქემ ჯეისონ ჰობსონმა ისეთი აპერკოტი ამოსცხო, რომ ტვინის შერყევა დამართა.

## ვერ ყოფილა კარგი ფსიქოლოგი



საფრანგეთის ნაკრების მწვთრნელმა ბერნარ ლაპორტმა ინგლისთან წაგება გუნდის ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობას დააბრალა: „ჩვენ კარგად ვითამაშეთ დაცვაში, მაგრამ ბევრი შეცდომა დავუშვით შეტევაში. თუმც რაც ყველაზე მეტად გვაკლდა, ეს ფსიქოლოგიური სიმტკიცე იყო. ბიჭები სათანადოდ ვერ განეწყვნენ. ბოლო ათი წლის მანძილზე ეს ჩვენი მეხუთე დიდი სლემი იქნებოდა და შევატყვე, ჩემი მორაგბეები უფრო სლემზე ფიქრობდნენ, ვიდრე კონკრეტული მატჩის მოგებაზე“.

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

12 მარტი

**კალგარი 5:4 სენტ ლუისი**
*0:1 2:1 2:2 0:0*
*(1:0 ბულიტები)*
0:1 ბეკმენი (18), 1:1 მოსი (23), 2:1 პუსულიუსი (35), 2:2 სტემპნიაკი (40), 3:2 ფანეფი (44), 4:2 ლენგკოუ (47), 4:3 ჩაიანეკი (48), 4:4 სტემპნიაკი (51)

**ფინიქსი 4:0 ფილადელფია**
*2:0 1:0 1:0*
1:0 კაპანენი (8), 2:0 ნოლანი (12), 3:0 ჩარნკვისტი (31), 4:0 კარჩილიო (58)

**ლოს ანჯელესი 5:1 ედმონტონი**
*2:1 1:0 2:0*
1:0 კლარკი (3), 2:0 ფროლოვი (8), 2:1 პეტერსენი (11), 3:1 კამალერი (30), 4:1 ბლეიკი (54), 5:1 კამალერი (56)

**ატლანტა 4:2 ვაშინგტონი**
*2:0 1:1 1:1*
1:0 კოზლოვი (12), 2:0 პოლიკი (17), 2:1 ოვეჩკინი (28), 3:1 ტკაჩუკი (35), 3:2 ოვეჩკინი (42), 4:2 კოვალჩუკი (50)

# ლუნდკვისტის კვირა



**კვირის** მოთამაშეების დასახელებისას კვლავ მეკარეების სიჭარბე შეინიშნება. ამჯერადაც გასული შვიდდღეულის სამ ვარსკვლავს შორის ორი კარის დარაჯია.

პირველი ვარსკვლავობა „რეინჯერსის" ახალგაზრდა შვედ კიპერ ჰენრიკ ლუნდკვისტს ერგო, რომელიც ბოლო ხანებში მართლაც ფანტასტიკურად ირჯება და ლომის წვლილი მიუძღვის იმაში, რომ „მედისონ სქვერ გარდენის" ბინადრები საპლეიოფო ზონაში დაბრუნდნენ. გასულ კვირას კი ლუნდკვისტმა 4-დან 3 შეხვედრაში იმარჯვა და მხოლოდ ერთხელ, ისიც ბულიტებში დამარცხდა. ამ მატჩებში შვედი საშუალოდ, მხოლოდ 1,43 შაიბას უშვებდა და დარტყმების 94,8 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავად „ჩიკაგოს" ფორვარდი ჯეფ ჰამილტონი დაასახელეს, რომელმაც გასულ კვირას 7 ქულა (3+4) მოიმკო. ამ ბიჭმა განსაკუთრებით „ფინიქსი" აზარალა, რომელთან შეხვედრაშიც ჰეთ თრიქი შეასრულა და ორჯერ საგოლედ უპასა პარტნიორებს. წლეულს ეს საუკეთესო მაჩვენებელია „ბლექ ჰოქსის" მოთამაშეთა შორის — მიმდინარე სეზონში აქამდე ხუთქულიანი თამაში არავის ჰქონია.

მესამე ვარსკვალავად „სან ხოსეს" კარის დარაჯი ევგენი ნაბოკოვი დასახელდა, რომელიც კარგად სარგებლობს იმით, რომ „ზვიგენების" ფინელი კიპერი ვესა ტოსკალა დამტვრეულია და გუნდის პირველი მეკარის სტატუსს იბრუნებს. გასულ კვირას ყაზახეთში დაბადებულმა რუსმა 2 მატჩში იმარჯვა და ერთი ბულიტებში წააგო. მოგებულ მატჩებში ნაბოკოვმა კარები სულაც მშრალად შეინახა და სეზონში უკვე 7 შათაუთი მოაგროვა, რაც მთელს ლიგაში მეორე შედეგია. ამ სამი მატჩში რუსმა საშუალოდ 0,66 შაიბა გაუშვა და დარტყმულის 97,6 პროცენტი მოიგერია.

**ბაჩა ლომაძვილი**

სუმო

# კოკაი: სამიდან სამი



კომუსუბობადაკარგული და აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირად წოდებული ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია ოსაკურ ბაშოზე სამი ტურის შემდეგაც დაუმარცხებელია. კოკაიმ გუშინ მატადორი ამინისიკი წააქცია და ორმოცდაორკაციან დევკაცთა სიის სათავეში დარჩა. ჩვენებურის გარდა, ქულათა მაქსიმუმით კიდევ ექვსი სეკიტორი იწონებს თავს და, რაც მთავარია, ამ შვიდი ლიდერიდან ხუთი რიგითი მაეგაშირაა. მაღალწოდებიანთაგან მარტო ოძეკი ტოჩიაძუმას და სეკივაკე კოტომიცუკის არ უწვნევიათ მარცხი.

მესამე ტურში სენსაციური მინუსსვლა შეაჩერა იოკოძუნა ასასიორიუმ. იმპერატორის თასის 20-გზის მომგებმა მონღოლმა „ცისფერმა დრაკონმა" წინა ორი მეტოქის ჯავრი ექსკომუსუბი ფუტენოზე იყარა. მოქმედი ჩემპიონი დღეს რიგით მაეგაშირა ტოინოსიმას ხვდება და ალბათ მოგება-წაგების ბალანსს გაანულებს. ლევან ცაგურია კი ექსსეკივაკე ტამანოსიმას პირისპირ დადგება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ველორბოლა

# ნაზონმა 186 კილომეტრი გაზომა


ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

**ფრანგული** გუნდის AG2R-ის მრბოლის ჟან პატრიკ ნაზონის გამარჯვებით დასრულდა სეზონის პირველი მნიშვნელოვანი ველოტურის, რიგით 65-ე პარიზი-ნიცას პირველი ეტაპი, რომელიც კლოი სურ ლე ლოიდან ბუზანკამდე 186 კილომეტრზე იყო გაჭიმული.

30 წლის ფრანგმა, ვისაც თავის დროზე, უფრო ზუსტად კი 2003 წელს „ტურ დე ფრანსის" დასკვნითი, ელისეს მინდვრების ეტაპიც მოუგია, ფინიშამდე 200 მეტრით ადრე შეუტია და მეტოქეებს სპრინტში აჯობა.

გზა ძირითადად დაბლობზე გადიოდა, ველოქარავანმა ფინიშს ჯგროდ უწია და ამ ჯგროში სწორედ ნაზონი აღმოჩნდა ყველაზე სწრაფი და მარიფათიანი.

ნაზონმა 186-კილომეტრიანი გზა 4 საათში, 29 წუთსა და 39 წამში გალია და გამარჯვებულის სარგო პრემიალური წამები დაიმსახურა, თუმც წინა დღეს, პროლოგში იმდენი წააგო, რომ ლიდერის მაისურაზე პრეტენზია არც ჰქონია.

მეორე და მესამე ადგილები „მილრამის" გერმანელმა მრბოლმა სებასტიენ სიდლერმა და „რაბობანკის" ავსტრალიელმა მეტიუ ჰეიმანმა დაიკავეს.

საერთო ჩათვლაში სურათი არ შეცვლილა. წინ, კვლავაც პროლოგის მომგები ბრიტანელი დევიდ მილარია, ვინც „სონი დიუვალის" ღირსებას იცავს. ლიდერთან ოდენ ერთ წამს აგებს „ლიქუიგასის" ჩეხი მრბოლი, 19 წლის თინეიჯერი რომან კროიციგერი.

მძლეოსნობა

# იასუკო ჰაშიმოტოს მეხუთე და სამართალი




**იაპონელ** დიაცთა სრული ტრიუმფით დასრულდა ნაგოიას ქალთა მარათონი. პირველი ოთხი ადგილი იასუკო ჰაშიმოტომ, ჰარუნი ჰიროიამამ, ტაკამი ომინამიმ და მიკი ოპირამ დაიკავეს. მხოლოდ ამათ შემდეგ იყო კენიელი ჯულია მომბი და მერე ფინიშს კიდევ ოთხმა მასპინძელმა უწია.

არადა, თავიდან რუსი ალევტინა ივანოვა და ბელარუსი ვოლჰა კრაუჩოვა აქტიურობდნენ. 10 და 15 კილომეტრიან ნიშნულთან კრაუჩოვა იყო პირველი, მერე კი ივანოვა დაწინაურდა და გზის ნახევარი პირველმა გალია. მაგრამ სადღაც 25 კილომეტრის შემდეგ იაპონელებმა მოუმატეს და შეუტიეს, სლავები ჩამოიტოვეს, არც კენიელი გაიკარეს ახლოს და ფინიშისკენ მწყობრად გასწიეს. ბოლოსკენ წინ ორნი დარჩნენ — ჰაშიმოტო და ნაგოიას მარათონის შარშანდელი მომგები ჰიროიამა და ამ ორის დავაში უფრო გამძლე ჰაშიმოტო გამოდგა, ვისაც ოფხწლიანი გარჯა დაუფასდა: იასუკო ნაგოიაში 2003 წელს მეხუთე იყო, 2004 წელს — მეთორმეტე, 2005 წელს — მეოთხე, შარშან — მეექვსე და აჰა, მეხუთე ცდაზე ჩემპიონობაც მოიპოვა.

აქვე ვთქვათ, რომ გამარჯვებულმა 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათში, 28 წუთსა და 49 წამში გაირბინა და მეორე ადგილზე გასული ძველი ჩემპიონი ექვსი წამით ჩამოიტოვა.

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ტორტლაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფურაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლია ბეჩვაია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრიშვილი, რუსუდან ურიხთაური, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge